

სს „სილქ ბანკი“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	13
3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	15
4. ფინანსური რისკის მიმოხილვა	32
5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	41
6. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები.....	41
7. ხელფასები და დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები	41
8. მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯი.....	42
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	43
10. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	44
11. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	44
12. მომხმარებლებზე გაცემული სესხები	45
13. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	48
14. სხვა აქტივები	49
15. მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან	50
16. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	51
17. სუბორდინირებული სესხები.....	52
18. სხვა ვალდებულებები	53
19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები	53
20. პირობითი ვალდებულებები.....	54
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	55
22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები.....	56
23. რისკის მართვა	57
24. კაპიტალის ადეკვატურობა.....	65
25. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	67

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სილქ ბანკის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს სილქ ბანკის (შემდგომში - „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან;
- აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან; და
- ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2024 წლის 14 მაისს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს შემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვანვლით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბანკის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ბანკის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 მაისი, 2025

სს „სილქ ბანკი“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი'000	შენიშვნები	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	5	18,602	9,605
საპროცენტო ხარჯი	5	(12,085)	(5,475)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		6,517	4,130
საკომისიო შემოსავალი		520	224
საკომისიო ხარჯი		(471)	(207)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		49	17
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		1,439	(169)
წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და ფორვარდული ხელშეკრულებებიდან	23	632	871
გაუფასურების აღდგენა დასაკუთრებულ ქონებებზე		105	558
ხელფასები და დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები	7	(11,144)	(6,607)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	6	(10,876)	(5,348)
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	4	(1,207)	(592)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		116	(4)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,369)	(7,144)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	2,953	(149)
წლის ზარალი		(11,416)	(7,293)
სხვა სრული ზარალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში</i>			
მიწის და შენობების გადაფასება	13	(62)	(350)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		105	70
მთლიანი სხვა სრული ზარალი		43	(280)
მთლიანი სრული ზარალი		(11,373)	(7,573)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, დამტკიცებულია 2025 წლის 15 მაისს ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია, მისი სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო ცანავა
ფინანსური დირექტორის მოადგილე

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სილქ ბანკი“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი'000	შენიშვნები	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	5	18,602	9,605
საპროცენტო ხარჯი	5	(12,085)	(5,475)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		6,517	4,130
საკომისიო შემოსავალი		520	224
საკომისიო ხარჯი		(471)	(207)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		49	17
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		1,439	(169)
წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და ფორვარდული ხელშეკრულებებიდან	23	632	871
გაუფასურების აღდგენა დასაკუთრებულ ქონებებზე		105	558
ხელფასების და დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები	7	(11,144)	(6,607)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	6	(10,876)	(5,348)
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	4	(1,207)	(592)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		116	(4)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,369)	(7,144)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	2,953	(149)
წლის ზარალი		(11,416)	(7,293)


სხვა სრული ზარალი

ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში

მიწის და შენობების გადაფასება	13	(62)	(350)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		105	70
მთლიანი სხვა სრული ზარალი		43	(280)
მთლიანი სრული ზარალი		(11,373)	(7,573)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, დამტკიცებულია 2025 წლის 15 მაისს ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია, მისი სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი




ნინო ცანავა
ფინანსური დირექტორის მოადგილე




მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ლარი'000	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	19,866	31,253
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	10	13,043	22,854
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	12	125,473	55,240
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	24,463	27,214
ძირითადი საშუალებები	13	17,377	19,306
აქტივის გამოყენების უფლება	13	883	1,191
არამატერიალური აქტივები		1,803	1,120
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	1,227	-
სხვა აქტივები*	14	18,892	8,911
სულ აქტივები		223,027	167,089
ვალდებულებები			
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები			
მომხმარებლებისგან	15	148,326	98,648
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	16	4,134	298
სუბორდინირებული სესხები	17	2,132	2,879
საიჯარო ვალდებულებები	16	1,006	1,254
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	8	-	1,831
სხვა ვალდებულებები	18	5,585	2,962
სულ ვალდებულებები		161,183	107,872
კაპიტალი			
19			
სააქციო კაპიტალი		86,746	72,746
რეზერვები		3,489	3,989
დაგროვილი ზარალი		(28,391)	(17,518)
სულ კაპიტალი		61,844	59,217
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		223,027	167,089

*“სხვა აქტივები“ მოიცავს დასაკუთრებულ ქონებებს, რომელიც წარმოდგენილი იყო განცალკევებით, როგორც “გასაყიდად გამოზნული აქტივები“ 2023 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ლარი'000	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი		(11,416)	(7,293)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,219	971
გაუფასურების ზარალი ფინანსურ ინსტრუმენტებზე		1,207	592
ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებები		304	(179)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		6	61
წმინდა ზარალი დასაკუთრებული ქონებების გაყიდვიდან		1	78
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		(6,517)	(4,130)
მოგების გადასახადის (სარგებელი)/ზარჯი		(2,953)	149
წმინდა (მოგება)/ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(1,439)	169
გაუფასურების აღდგენა დასაკუთრებულ ქონებებზე		(105)	(558)
		(19,693)	(10,140)
<i>ცვლილებები:</i>			
მიმდინარე ანგარიშებსა და მომხმარებლებისგან მიღებულ დეპოზიტებში		46,157	83,871
მოთხოვნებში საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ		9,824	(21,082)
სხვა ვალდებულებებში		1,813	1,297
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(67,722)	(36,428)
სხვა აქტივებში		(9,018)	(2,497)
ბანკებისგან მიღებულ დეპოზიტებში		(298)	293
		(38,937)	15,314
მიღებული პროცენტი		17,174	9,383
გადახდილი პროცენტი		(10,031)	(5,336)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(31,794)	19,361
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		3,385	3
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან მიღებული შემოსულობები		2,827	7,000
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,248)	(1,363)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(911)	(1,019)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		-	(2,202)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,053	2,419
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
საკრედიტო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	16	74,298	24,169
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსულობები		12,651	8,787
სუბორდინირებული სესხებიდან მიღებული შემოსულობები	16	2,532	-
საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების დაფარვა	16	(70,166)	(34,168)
სუბორდინირებული სესხების დაფარვა	16	(3,307)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(236)	(106)
საფინანსო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		15,772	(1,318)
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(12,969)	20,462
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		31,253	10,847
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1,565	(39)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		17	(17)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	19,866	31,253

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სილქ ბანკი“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი'000	სააქციო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	62,946	4,356	(10,312)	56,990
მთლიანი სრული ზარალი				
წლის ზარალი	-	-	(7,293)	(7,293)
სხვა სრული ზარალი				
მიწის და შენობების გადაფასება	-	(350)	-	(350)
გადავადებული გადასახადის გავლენა	-	70	-	70
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(87)	87	-
მთლიანი სხვა სრული ზარალი	-	(367)	87	(280)
მთლიანი სრული ზარალი	-	(367)	(7,206)	(7,573)
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან გამოშვებული აქციები (იხ. შენიშვნა 19)	9,800	-	-	9,800
სულ ოპერაციები მესაკუთრებთან	9,800	-	-	9,800
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	72,746	3,989	(17,518)	59,217
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	72,746	3,989	(17,518)	59,217
მთლიანი სრული ზარალი				
წლის ზარალი	-	-	(11,416)	(11,416)
სხვა სრული ზარალი				
მიწის და შენობების გადაფასება	-	(62)	-	(62)
გადავადებული გადასახადის გავლენა	-	105	-	105
რეალიზებულ ძირითად საშუალებებზე გადაფასების რეზერვის ტრანსფერი	-	(463)	463	-
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(80)	80	-
მთლიანი სხვა სრული ზარალი	-	(500)	543	43
მთლიანი სრული ზარალი	-	(500)	(10,873)	(11,373)
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან გამოშვებული აქციები (იხ. შენიშვნა 19)	14,000	-	-	14,000
სულ ოპერაციები მესაკუთრებთან	14,000	-	-	14,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	86,746	3,489	(28,391)	61,844

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „სილქ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს ქართულ სააქციო საზოგადოებას. 2022 წლის 12 სექტემბერს, ბანკს შეეცვალა სახელი და სს „სილქ როუდ ბანკის“ ნაცვლად სს „სილქ ბანკი“ ეწოდა.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს საზოგადოებისგან დეპოზიტების მიღებას და კრედიტების გაცემას, თანხის გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებსა და სხვადასხვა საბანკო მომსახურების გაწევას ბიზნესს და საცალო კლიენტებისთვის. ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ზაარბრუკენის მოედანი №2, თბილისი, საქართველო. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სეზ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“). ბანკი თავის საქმიანობას ახორციელებს სალიცენზიო ნომრით 238.

ბანკის სარეგისტრაციო ნომერია 201955027 და სარეგისტრაციო ორგანო - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლო.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის აქციონერები არიან:

სახელი	საკუთრება %	
	2024	2023
„Silk Road Group Holding (Malta) Limited“	57.63	58.83
შპს „პარტომტა“	35.67	36.42
სს „სილქ ჰოლდინგი“	6.70	4.74
სხვა	0.00	0.01
სულ	100.00	100.00

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა ჯამში 140,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 14,000,000 ლარით, საიდანაც 11,638,200 ლარი იქნა გადახდილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დარჩენილი 2,361,800 ლარი აღიარებული იყო როგორც დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან (იხ. შენიშვნა 14). აღნიშნული აქციების გამოშვება განხორციელდა არსებულ აქციონერებზე 2024 წლის 10 აპრილს, 16 სექტემბერსა და 13 ნოემბერს - 34,647; 35,353 და 70,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი. 2025 წლის 10 მარტს სრულად დაიფარა 2,361,800 ლარის დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან.

2023 წლის 13 ოქტომბერს, ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა 98,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 9,800,000 ლარით, საიდანაც 8,786,800 ლარი იქნა გადახდილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დარჩენილი 1,013,200 ლარი აღიარებული იყო როგორც დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან (იხ. შენიშვნა 14). 2024 წლის 1 თებერვალს სრულად დაიფარა 1,013,200 ლარის დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან.

ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლებიც ფლობენ მისი აქციების 10%-ზე მეტს არიან გიორგი რამიშვილი, ერკინ ტატიშვილი და ალექსი თოფურია. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 21-ე შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

ბანკი ოპერირებს საქართველოში. შესაბამისად, ბანკზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თავისებურებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობს განვითარებას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდის ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ გადააჭარბა თავდაპირველ ზრდის მოლოდინებს – რეალური მშპ გაიზარდა 11.0%-ით. ასეთი მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეული იყო ფულადი შემოდინებების აღდგენითა და ზრდადი შიდა მოთხოვნით. 2023 წელს, მიუხედავად იმისა, რომ რეალური მშპ-ს ზრდამ ნორმალიზაცია დაიწყო, იგი კვლავაც მაღალ დონეზე დარჩა და წლის ბოლოსთვის საშუალოდ 7.5%-ს შეადგენდა. 2024 წელს ეკონომიკა კვლავ გაიზარდა 9.5%-ით. ზრდის ნორმალიზაცია ძირითადად უკავშირდებოდა შემცირებულ საერთაშორისო სასაქონლო ფასებს, რაც უარყოფითად აისახა როგორც ექსპორტზე, ასევე იმპორტზე. მიუხედავად ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDIs) დარჩა მდგრადი, ხოლო ტურიზმმა და ფულადმა გზავნილებმა შეინარჩუნა ზრდის მაღალი ტემპი, რუსეთთან დაკავშირებული ერთჯერადი ეფექტისა და მიგრაციის ეფექტის კორექტირების მიუხედავად.

როგორც ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარი, საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია სრულად განვითარებული ბიზნესისა და რეგულატორული ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩვეულებრივ უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერირება შეიძლება მოიცავდეს რისკებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისთვის (მათ შორის ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაში მისაღები საქართველოს საკრედიტო და საფონდო ბაზრების დაბალი დონე). საქართველოს იურიდიული, საგადასახადო და რეგულატორული ჩარჩოები განაგრძნობს განვითარებას და ხშირად ექვემდებარება ცვლილებებსა და სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. მაგალითად, 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები ფინანსური ინსტიტუტებისთვის კორპორაციულ საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლიდან. გადახდილი ჩარჩოს მიხედვით, ფინანსური სექტორი აღარ გადავა დაბეგვრის ესტონურ მოდელზე, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს მოდელი ბანკებს გაათავისუფლებდა გაუნაწილებელ მოგებაზე კორპორატიული გადასახადების გადახდისგან და მოითხოვდა მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე 15%-ის ოდენობით მოგების გადასახადის გადახდას.

ქვეყანაზე ასევე ზეგავლენას ახდენს განახლებული სამხედრო კონფლიქტები მის სეპარატისტულ რეგიონებში, რომლებიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამასთანავე, გეოგრაფიულად შედარებით დაშორებულმა კონფლიქტებმაც, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაცია, შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე — აშშ დოლარის გამყარების, ნავთობის ფასების ზრდის, მიგრაციული ნაკადებისა და სხვა ეფექტების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციას კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ საქმიანობაში, მასშტაბური მიგრაციული გადინება შესაძლოა ბიზნესგარემოს გაუარესების წინაპირობად იქცეს. საპირისპირო შედეგი მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონფლიქტების სწრაფი გადაწყვეტა, რაც გამოიწვევს პოზიტიურ ეკონომიკურ ეფექტებს, მათ შორის — რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური ზრდის სავარაუდო ინტენსიურ აღდგენას.

ამასთანავე, საქართველო დგას პოლიტიკური კრიზისის წინაშე, რაც განპირობებულია მთავრობის გადაწყვეტილებით შეაჩეროს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები. აღნიშნულმა ნაბიჯმა ფართო საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, ვინაიდან ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას. მოცემული ვითარება რჩება გაურკვეველი და არ იკვეთება მკაფიო გადაწყვეტილების პერსპექტივა. ქვეყნის შიდა არასტაბილურობამ და ეკონომიკური ზრდის შენელებამ შესაძლოა სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი მერყეობა გამოიწვიოს, რაც ლარის დევალვაციის რისკს ქმნის. საპირისპიროდ, სიტუაციის სტაბილიზაციის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ აღდგება დასავლეთთან ურთიერთობები. მსგავსი განვითარება სავარაუდოდ გაამყარებს როგორც მომხმარებლების, ისე ბიზნეს სექტორის ნდობას და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში შემდგომ ინტეგრაციას. ასეთი ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება ნდობის აღდგენა და დაგროვილი, გადავადებული მოთხოვნის გააქტიურება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფას აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და მიწისა და შენობებისა, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით და დასაკუთრებული ქონებებისა, რომლებიც ასახულია საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

(c) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ბანკმა დააფიქსირა 11,416 ათასი ლარის ოდენობით ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2023: 7,293 ათასი ლარის ოდენობით ზარალი). ხელმძღვანელობის ვარაუდით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ბანკმა შეიძლება გასწიოს ზარალები და საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები შეიძლება იქნეს დარღვეული, თუ არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები.

2024 და 2023 წლებში, ბანკმა გაზარდა საზედამხედველო კაპიტალი, მიმდინარე აქციონერებისგან ახალი კაპიტალის შენატანების, 12,651 ათასი ლარისა და 8,787 ათასი ლარის მიღების გზით (შესაბამისად). (იხილეთ ასევე შენიშვნა 19). 2024 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალი გაიზარდა 14,000 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,362 ათასი ლარი აღიარებული იყო როგორც დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან, შესაბამისად ზემოთხსენებული თანხა არ იყო გათვალისწინებული საზედამხედველო კაპიტალში. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან 2,362 ათასი ლარის ოდენობით სრულად დაიფარა, რის შედეგადაც ბანკის საზედამხედველო კაპიტალი გაიზარდა შესაბამისი თანხით (იხილეთ შენიშვნა 25). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის, ბანკი შესაბამისობაში იყო მარეგულირებელ მოთხოვნებთან (იხ. შენიშვნა 24). 2024 წლის აპრილს, ბანკმა საჯაროდ განათავსა 10,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სუბორდინირებული სავალო ობლიგაციები (იხ. შენიშვნა 17).

მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნება უახლოეს მომავალში დამოკიდებულია ბანკის მომავალი საქმიანობის შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ამჟამად ზარალიანია, 2022 წელს ბანკმა მოიზიდა ახალი აქციონერები და გადადგა წარმატებული ნაბიჯები ბანკისთვის (მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის დაწყება და ახალი მენეჯმენტის დასაქმება). ბანკმა გამოუშვა თავისი ციფრული პლატფორმა, მობილურ აპლიკაციასთან ერთად, რაც ბანკის საუკეთესო საბანკო გამოცდილების უზრუნველყოფისკენ სწრაფვას ასახავს) ნიშურ სეგმენტებში შიდა ზრდისა და დამატებითი ფინანსების შენარჩუნების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ბანკი დაასტაბილურებს თავის საქმიანობას და 2-3 წელიწადში მოგების გამომუშავებას დაიწყებს. თუმცა, საზედამხედველო კაპიტალის ნებისმიერი პოტენციური დარღვევის შემთხვევაში, აქციონერებმა დააფიქსირეს განზრახვა, რომ შემდგომშიც ხელმისაწვდომი გახადონ ფინანსური რესურსი ბანკის საჭიროების შესაბამისად, რათა ბანკმა დააკმაყოფილოს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები და განაგრძოს საქმიანობა.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელიც იმედებს ჯგუფის სხვა საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერაზე ამყარებს, დირექტორებიც აცნობიერებენ, რომ ვერ იქნებიან

დარწმუნებულნი იმასში, რომ აღნიშნული მხარდაჭერა გაგრძელდება, თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის არ ყოფილა მიზეზი, რომ მათ სხვაგვარად ეფიქრათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციონერების მხრიდან მიმდინარე მხარდაჭერა არის აშკარა წინა წლებში განხორციელებული კაპიტალის შენატანების ფონზე. 2025 წლის თებერვალში ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა 150,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი და ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 15,000,000 ლარით, საიდანაც 12,469,500 ლარი იქნა გადახდილი იმ თარიღისთვის, როდესაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები გამოსაშვებად დამტკიცდა.

შესაბამისად, მენეჯმენტს სჯერა, რომ ბანკს ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, რომ შეძლოს ვალდებულებების და საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილება მათი დადგომისას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა დაკავშირებული ბანკის უნართან გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(d) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ბანკის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(e) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებენ ბანკის ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების წარდგენილ თანხებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 3(e)(vii) და შენიშვნა 4 - იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება ფინანსურ აქტივზე საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის განსაზღვრისთვის მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში ჩართვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მოდელების შერჩევა და დამტკიცება.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 4 - ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში შესატანი ინფორმაციის განსაზღვრა, ანაზღაურებადი ფულადი ნაკადების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების და მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის ჩათვლით;
- შენიშვნა 13 - მიწისა და შენობების შეფასება.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ბანკი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(a) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ბანკის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებულს ეფექტური პროცენტით, გაუფასურებით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(b) პროცენტი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას, გარდა შემენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივებისა, ბანკი ვარაუდობს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. შემენილი ან შექმნილი, საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, გამოითვლება საკრედიტო რისკით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების

ხარჯები მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

ამორტიზებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების „ამორტიზებული ღირებულება“ არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული გადახდილი ძირი თანხები, დამატებული ან გამოკლებული ეფექტური პროცენტით დაანგარიშებული აკუმულირებული ამორტიზაცია (როგორც სხვაობა თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის თარიღისთვის არსებულ ღირებულებას შორის) და ფინანსური აქტივებისთვის, დაკორექტირებული ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული „ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ წარმოადგენს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის გამოთვლა

ფინანსური აქტივისა ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადახდილია ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების პერიოდული ხელახალი შეფასების შედეგად, რათა ასახულ იქნეს პროცენტის საბაზრო განაკვეთის ცვლილებები.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იყო საკრედიტო რისკით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება საკრედიტო რისკით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის გამოთვლის მეთოდი არ უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს, მიუხედავად აქტივის საკრედიტო რისკის აღდგენისა.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 3(e)(vii).

წარდგენა

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს პროცენტს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯს საიჯარო ვალდებულებებზე.

(c) საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი, რომელიც ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეტანილია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში (იხ. შენიშვნა 3(b)).

თუ არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს სესხის გამოყენებას, მაშინ დაკავშირებული სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარებულია წრფივი მეთოდის მიხედვით ვალდებულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15. ამ შემთხვევაში, ბანკი ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაეყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ფასს 9-ის ფარგლებშია და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს.

საკომისიო შემოსავალი ანგარიშის უწყვეტი მართვისთვის ირიცხება კლიენტის ანგარიშზე ყოველთვიურად. ურთიერთგაცვლის, უცხოური ვალუტის გარიგებების და ოვერდრაფტებისთვის გარიგების საკომისიო ირიცხება მომხმარებლის ანგარიშს, როდესაც გარიგებას აქვს ადგილი. მომსახურების საკომისიო დარიცხულია ყოველწლიურად და დაფუძნებულია ფიქსირებულ განაკვეთებზე, რომლებიც ყოველწლიურად გადაიხედება ბანკის მიერ. შემოსავალი ანგარიშის მართვიდან და მომსახურების საკომისიო აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. გარიგებებთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში როდესაც ადგილი აქვს გარიგებას.

სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების მიღებისთანავე.

(d) დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში ასახულ ერთეულებს ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ გარიგებებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის დროებით სხვაობებთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი აღირიცხება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით, რომლებიც ძალაშია ან დიდწილად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მიჰყვება ბანკის მოლოდინებს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომ აღადგინოს და დააკმაყოფილოს მისი აქტივების და

ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგებები იქნება ხელმისაწვდომი, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალების და კრედიტების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები შემცირებულია იმ ოდენობით, რამდენადაც ხელმისაწვდომი იქნება დაბეგვრადი მოგება, რომლის საპირწონედაც დროებითი გამოქვითვადი სხვაობები შეიძლება იქნას გამოყენებული.

(e) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

ბანკი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს, დეპოზიტებსა და სუბორდინირებულ ვალდებულებებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი (ჩვეულებრივი გზით განხორციელებული შესყიდვებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვების ჩათვლით) აღიარდება ვაჭრობის თარიღისთვის, ანუ თარიღი, როდესაც ბანკი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას ზოგადად წარმოადგენს მის გარიგების ფასს.

(ii) კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს (SPPI).

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული.

ამასთანავე, თავდაპირველი აღიარებისას, ბანკს შეუძლია შეუქცევადი წესით განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულის მოთხოვნებს, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, თუ ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ან აღმოფხვრის სააღრიცხვო შეუსაბამობას, რაც სხვა შემთხვევაში წარმოიშვება.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი აფასებს ბიზნეს მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ყველაზე კარგად ასახავს ბიზნესის მართვის და

ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. განხილული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული პოლიტიკები და მიზნები და ამგვარი პოლიტიკების მოქმედება პრაქტიკაში. კერძოდ, არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან თანხვედრაზე, რომლებიც ამგვარ აქტივებს აფინანსებენ ან ფულადი სახსრების რეალიზაციაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასების კომუნიკაცია ბანკის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და როგორ იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილი პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. თუმცა, ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება. ის წარმოადგენს ბანკის მთლიანი შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით ბანკის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

ბანკის საცალო და ბიზნეს სესხები მოიცავს სესხებს კლიენტებზე, რომლებიც ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად. საცალო ბიზნესში სესხები მოიცავს ოვერდრაფტებს, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხების გაცემას. აღნიშნული პორტფელებიდან სესხების გაყიდვა ძალიან იშვიათია.

კონკრეტული სასესხო ფასიანი ქაღალდები ბანკის მიერ ფლობილია ცალკე პორტფელში გრძელვადიანი შემოსავლიანობისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფები შეიძლება იქნას გაყიდული, მაგრამ მსგავსი გაყიდვები არ არის მოსალოდნელი, რომ იქნება ხშირი. ბანკი ითვალისწინებს, რომ მსგავსი ფასიანი ქაღალდები ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად.

სავაჭროდ ფლობილი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზანი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და არც ფინანსური აქტივების გაყიდვა.

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, "ძირითადი თანხა" განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით

შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან ოდენობა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. აღნიშნული შეფასების დროს, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი ვითარებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარი დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ ბანკის უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან (მაგ. შეთანხმება აქტივებზე „რეგრესის უფლების გარეშე“); და
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან „ფულის დროითი ღირებულების“ ანაზღაურებას - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

სესხები რეგრესის უფლების გარეშე

ზოგიერთ შემთხვევებში, ბანკის მიერ გაცემული სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია მსესხებლის გირაოთი ზღუდავენ ბანკის მხრიდან შესაბამისი გირაოს ფულადი ნაკადების მოთხოვნის უფლებას (სესხები რეგრესის უფლების გარეშე). ბანკი იყენებს მსჯელობას იმის შეფასებისას აკმაყოფილებს თუ არა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ მხოლოდ ძირითადი თანხებისა და პროცენტის გადახდებს კრიტერიუმს. ბანკი როგორც წესი, მსჯელობისას, ითვალისწინებს შემდეგ ინფორმაციას:

- განსაზღვრავს თუ არა სახელშეკრულებო გარიგება სესხის ფულადი გადახდების კონკრეტულ ოდენობებს და თარიღებს;
- გირაოს სამართლიანი ღირებულება უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის ოდენობასთან მიმართებაში;
- მსესხებლის უნარი და სურვილი განახორციელოს სახელშეკრულებო გადახდები, გირაოს ღირებულების კლების მიუხედავად;
- რამდენად წარმოადგენს გირაო მსესხებლის აქტივების მთლიან ან არსებით ნაწილს; და
- მიიღებს თუ არა ბანკი სარგებელს შესაბამისი აქტივის ღირებულების ზრდიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი აფასებს ფინანსურ ვალდებულებებს, სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ამორტიზებული ღირებულებით.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ბანკი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა (ან აღიარებაშეწყვეტილი აქტივის იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას) და (i) მიღებულ

ოდენობას (ნებისმიერ მიღებულ ახალ აქტივს გამოკლებული ახალი ნაკისრი ვალდებულება - ჩათვლით) და (ii) ნებისმიერი კუმულაციური ამონაგების ან ზარალის (რომელიც აღიარებულ იქნა სხვა სრულ შემოსავალში) ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ბანკი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ან მათი ნაწილის ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას, მსგავს შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება. მსგავსი გარიგებების მაგალითებია ფასიანი ქაღალდების გასესხება და ყიდვა-გაყიდვის გარიგებები.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ბანკმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით დამატებული ნებისმიერი შესაბამისი გარიგების ხარჯები. მოდიფიცირების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი საკომისიო აღირიცხება შემდეგნაირად:

- საკომისიოები, რომლებიც შესულია ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში და საკომისიოები, რომლებიც შესაბამისი გარიგების ხარჯების ანაზღაურებას წარმოადგენს, შეტანილია აქტივის თავდაპირველ შეფასებაში; და
- სხვა საკომისიოები, რომლებიც შესულია მოგებაში ან ზარალში აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი ამონაგების ან ზარალის ნაწილის სახით.

თუ ფულადი ნაკადები იცვლება, როდესაც მსესხებელი ფინანსური სირთულეების წინაშეა, მაშინ მოდიფიცირების მიზანი, როგორც წესი არის საწყისი სახელშეკრულებო პირობების მაქსიმალურად აღდგენა და არა ახალი აქტივის წარმოქმნა არსებითად განსხვავებულ პირობებზე. თუ ბანკი ფინანსური აქტივის ისეთ მოდიფიცირებას გეგმავს, რაც ფულადი ნაკადების პატიებას გამოიწვევს, მაშინ ის თავდაპირველად აფასებს შესაძლებელია თუ არა აქტივის გარკვეული ნაწილის ჩამოწერა, მანამ სანამ მოდიფიცირებას ექნება ადგილი (იხილეთ ქვემოთ ჩამოწერის პოლიტიკები). ეს მიდგომა გავლენას ახდენს რაოდენობრივი შეფასების შედეგებზე და ნიშნავს, რომ როგორც წესი ესეთ შემთხვევებში აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივის მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ბანკი პირველ რიგში ხელახლა ითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს საბოლოო კორექტირებას, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია მოდიფიცირების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. მოდიფიცირებისას გაწეული ან მიღებული ნებისმიერი საკომისიო ან ხარჯები აკორექტირებს მოდიფიცირებული

ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ ვადაზე.

თუ ეს მოდიფიცირება გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეებით (იხ. შენიშვნა 3(e)(vii)), მაშინ შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია გაუფასურების ზარალებთან ერთად. სხვა შემთხვევაში, ის წარმოდგენილია როგორც ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი (იხ. შენიშვნა 3(b)).

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს გადაცემულ არა-ფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდა გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია მოდიფიცირების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქცეითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

შემოსავალი და ხარჯები წარმოდგენილია წმინდად მხოლოდ ფასს სტანდარტებით ნებადართულის შემთხვევაში, ან მსგავსი გარიგებების ჯგუფიდან მიღებული შემოსულობებისთვის და ზარალებისთვის.

(vi) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ბაზრის

მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო ხელსაყრელ ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის "აქტიური", თუ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მაქსიმალურად ამცირებენ არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ გარიგების ღირებულების შეფასებისას.

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას მისი სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ღირებულება - ანუ მიღებული და გადახდილი თანხების სამართლიანი ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და სამართლიანი ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომლისთვისაც ნებისმიერი არაემპირიული ამოსავალი მონაცემი შეფასებულია როგორც არა-არსებითი სხვაობასთან მიმართებაში, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული თავდაპირველი აღიარებისას არსებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის გადავადების მიზნით. შემდგომში, აღნიშნული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში, შესაბამის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შეფასებას სრულად დაუჭერს მხარს ემპირიული ამოსავალი საბაზრო მონაცემები ან გარიგება დაიხურება.

ბანკი ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

(vii) გაუფასურება

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ სასესხო ინსტრუმენტებს;
- სასესხო ვალდებულებები და გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები.

ბანკი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ (იხ. შენიშვნა 4).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევებისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „1 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები. 1-ელ დონეზე განაწილებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში ან დაქვემდებარების მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მაგრამ არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მიჩნეულია როგორც „მე-2 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები. მე-2 დონეზე განაწილებული ფინანსური ინსტრუმენტები არის ინსტრუმენტები, რომლებიც დაექვემდებარა საკრედიტო რისკის არსებით ზრდას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აღიარებული და რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოხსენებულია როგორც „3 დონის ფინანსური ინსტრუმენტები“.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობით შეწონილ შეფასებას. ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვის: როგორც ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი);
- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას შორის;
- გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები: ბანკის მიერ მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა (ვალდებულების გამოყენების შემთხვევაში) და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი; და
- ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები: მოსალოდნელი გადახდები მფლობელის ასანაზღაურებლად გამოკლებული ნებისმიერი ოდენობები, რომელთა ამოღებასაც მოელის ბანკი.

მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისას, შემდეგი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება:

- ფინანსური აქტივები, გარდა შემენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა: თავდაპირველი ეფექტური განაკვეთი ან მისი მიახლოება;
- გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები: ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოება, რომელიც გამოყენებული იქნება სასესხო ვალდებულებიდან წარმოქმნილ ფინანსურ აქტივზე; და
- გამოშვებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები: განაკვეთი, რომელიც ასახავს "ფულის დროითი ღირებულების" მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ფულადი ნაკადების კონკრეტულ რისკებს.

რესტრუქტურისებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. შენიშვნა 3(e)(iii)) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურისაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შეტანილია არსებული აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გამოთვლებში (იხ. შენიშვნა 4).
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურისაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება, როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა შეტანილია არსებული ფინანსური აქტივისგან მიღებული ფულადი სახსრების დანაკლისის გამოთვლებში, რომელიც დისკონტირებულია აღიარების შეწყვეტის მოსალოდნელი თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ბანკი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით („მე-3 დონის“ ფინანსური აქტივები). ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის/კონტრაქტის ფინანსური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მის უნარს დაფაროს სესხი;
- მსესხებლის ვალდებულება იქნა შემცირებული ძირითადი თანხის და/ან ფინანსურ ინსტრუმენტზე დარიცხული პროცენტის ნაწილობრივ პატიებით ან ჩამოწერით;
- სესხის დასაფარად, ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა საშუალებები, მაგალითად: იპოთეკის ან მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა;
- სესხის ერთზე მეტი რესტრუქტურისაცია, თუ აღნიშნული მსესხებლის პირობების გაუარესებას უკავშირდება;
- სესხების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის გარდაცვალება, გაკოტრების წამოწყება მსესხებლის მხრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს მსესხებლის უუნარობას დაფაროს თავისი სასესხო ვალდებულებები;
- თაღლითობის შემთხვევა ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მსესხებლის მხრიდან, რამაც შესაძლოა კომპანიის გადახდისუნარიანობაზე იქონიოს გავლენა;
- მსესხებლის ნებისმიერი სესხის მე-3 დონეზე გადატანა.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისათვის ბანკი კრედიტუნარიანობის სარეიტინგო სააგენტოების შეფასებას ითვალისწინებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით;
- სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები: როგორც წესი, ანარიცხის სახით;
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს, როგორც გამოყენებულ ასევე გამოუყენებელ კომპონენტებს და ბანკი ვერ ახერხებს სასესხო ვალდებულების კომპონენტზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენას მის გამოყენებულ კომპონენტზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისგან განცალკევებით: ბანკი წარადგენს გაერთიანებულ ზარალის რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. გაერთიანებული ოდენობა წარმოდგენილია გამოყენებული კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით. ზარალის რეზერვის ნებისმიერი ზედმეტობა გამოყენებული კომპონენტის მთლიან ოდენობაზე წარმოდგენილია ანარიცხის სახით.

ჩამოწერები

სესხები და სასესხო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ), როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რითაც იგი უზრუნველყოფს საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერას დაქვემდებარებული ოდენობები. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა შეტანილია „გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე“ მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ბანკის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(f) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გამოკლებით, და საფინანსო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა შესყიდვიდან 90 დღე ან ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა-არსებით რისკს და გამოიყენება ბანკის მიერ თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(g) რისკების მართვის მიზნებისთვის ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტები

რისკების მართვის მიზნებისთვის ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტები მოიცავს ყველა წარმოებულ აქტივსა და ვალდებულებას, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც სავაჭრო აქტივები ან ვალდებულებები. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(h) მომხმარებლებზე გაცემული სესხები

„მომხმარებლებზე გაცემული სესხები“-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს (იხ. შენიშვნა 3(e)(i)); ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული დამატებითი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და შემდგომ მათი

ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(i) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

„საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების“ მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს (იხ. 3(e)(i)); აღნიშნული თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული დამატებითი პირდაპირი გარიგების ხარჯები, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(j) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, მიწისა და შენობების გარდა, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივის შესყიდვაზე ან მისი გამიზნული მოხმარებისთვის შესაბამის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე.

დანადგარების საბალანსო ღირებულება გადახედილია გაუფასურების კუთხით, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი.

თავდაპირველად, თვითღირებულებით აღიარების შემდეგ, მიწა და შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. შეფასებები საკმარისად ხშირად ხორციელდება, რომ უზრუნველყოფილი იყოს, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

დაგროვილი ცვეთა გადაფასების თარიღისთვის გაუქმებულია აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების საპირწონედ და წმინდა ოდენობა ხელახლა არის წარმოდგენილი აქტივის გადანაწილებულ ოდენობაზე. ნებისმიერი გადაფასების ნამეტი დაკრედიტებულია სხვა სრულ შემოსავალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აღადგენს იგივე აქტივის, ადრე მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ გადაფასების შემცირებას, რა შემთხვევაშიც ზრდა აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების ნაკლებობა აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დანაკლისი, რომელიც პირდაპირ ურთიერთგადაფარავს წინა ნამეტს იგივე აქტივზე, პირდაპირ არის ურთიერთგადაფარული ნამეტის საპირწონედ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

ყოველწლიური გადატანა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ხდება გადაფასებული აქტივების საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების საწყისი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობის ოდენობით. გაყიდვისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული, ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ბანკში. მიმდინარე სარემონტო და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები აღიარდება ხარჯებად მათი გაწვევისთანავე.

(iii) ცვეთა

აქტივის ცვეთა იწყება, როდესაც ის მზად არის მოხმარებისთვის. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	4-10
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობები	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	4-10

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და მეთოდები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

(k) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის (გარდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა), რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიხებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

ბანკის აქტივები არ ახდენს ცალკე ფულადი ნაკადების შემოდიხების გენერირებას და გამოიყენება როგორც ერთი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(l) მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან და სუბორდინირებული სესხები

მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან და სუბორდინირებული სესხები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით გამოკლებული დამატებითი პირდაპირი გარიგების ხარჯები. შემდგომ, ისინი ფასდება მათი

ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით (შენიშვნა 3(e)(ii)).

(m) დასაკუთრებული ქონებები

დასაკუთრებული ქონებები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას, რომელთა საბალანსო ღირებულება იქნება აღდგენილი ძირითადად გაყიდვის გარიგებიდან და არა ხანგრძლივი გამოყენებიდან. ბანკი დასაკუთრებულ ქონებებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს. დასაკუთრებული ქონებები ფასდება მათ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) უმცირესით. დასაკუთრებული ქონებების საბალანსო ღირებულების შემდგომი ჩამოწერები (რაც არ მოიცავს გაყიდვების შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას ან ზარალს) გაუფასურების ზარალის სახით აღიარდება. დასაკუთრებული ქონებების სამართლიანი ღირებულების (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) შემდგომ ზრდაზე მიღებული ამონაგები არ აღიარდება ადრე აღიარებულ გაუფასურების ზარალზე მეტი ოდენობით.

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ბანკი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

(i) ბანკი, როგორც მოიჯარე

ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი და აქტივის დემონტაჟისა და ჩატარებული ნებისმიერი გაუმჯობესებების მოხსნის სავარაუდო ხარჯები.

შემდგომ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულებამდე. ამასთანავე, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, და მათი დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა ვერ ხერხდება, ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ბანკი დისკონტირების განაკვეთად თავის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

ბანკი თავის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს გარე წყაროებიდან სესხების ანალიზის გზით და ახორციელებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობებისა და იჯარით აღებული აქტივის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ბანკმა აირჩია არ აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებზე. ბანკი

აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(o) სააქციო კაპიტალი

(i) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებაზე აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით. ბანკი აღიარებს მოთხოვნას აქციონერისგან და საწესდებო კაპიტალის შესაბამის ზრდას, როდესაც კაპიტალის ზრდა იურიდიულად სავალდებულოა.

(ii) დივიდენდები

ბანკის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებაში დივიდენდები აისახება, როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში.

(p) 2024 წლის 1 იანვრიდან შესული სტანდარტები

– *მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).*

2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული გამოცემის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს.

შესწორებებს არსებითი ეფექტი არ ჰქონიათ ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– *საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობითი გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება)*

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

შესწორებებს არსებითი ეფექტი არ ჰქონიათ ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– *ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება)*

ბასს (IAS) 1-ის შესწორებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. შესწორებებით განისაზღვრება: რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება; რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში; რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით; რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებ კლასიფიკაციაზე.

ამასთან, განისაზღვრა მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც საწარმომ უნდა გაამჟღავნოს სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება როდის არის კლასიფიცირებული გრძელვადიანად და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლება, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

შესწორებებს არსებითი ეფექტი არ ჰქონიათ ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– *კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება)*

შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. შესწორებებს არსებითი ეფექტი არ ჰქონიათ ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(q) გამოცემული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები) - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორება (შესწორებები);
- ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები და IFRS 7 ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ფასს 19 შეიღობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა

ეს შენიშვნა ასახავს ინფორმაციას ბანკის ფინანსურ რისკებზე დაქვემდებარების შესახებ. ბანკის ფინანსური რისკების მართვის სტრუქტურაზე ინფორმაციისთვის, იხ შენიშვნა 23.

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

შემდეგი ცხრილი ასახავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს გიროსა ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის გათვალისწინების გარეშე. გარდა სხვაგვარად მითითებულისა, ცხრილში წარმოდგენილი ოდენობები ასახავს ფინანსური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებებს. ტერმინების განმარტება: დონე 1, დონე 2, დონე 3 იხილეთ შენიშვნაში 3(e)(vii).

ლარი'000	31 დეკემბერი 2024			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები				
ამორტიზებული ღირებულებით - ბიზნეს სესხები				
B2	16,669	-	-	16,669
B3	5,459	-	-	5,459
Ba2	66,471	-	-	66,471
Ba3	5,918	-	-	5,918
Caa1	11	-	-	11
Caa2	815	-	798	1,613
Caa3	31	-	-	31
Ca-C	485	-	144	629
სულ	95,859	-	942	96,801
ზარალის რეზერვი	(523)	-	(520)	(1,043)
საბალანსო ღირებულება	95,336	-	422	95,758

მომხმარებლებზე გაცემული სესხები				
ამორტიზებული ღირებულებით - საცალო სესხები				
ვადაგადაცილების გარეშე	28,661	-	-	28,661
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	968	5	-	973
30-60 დღემდე ვადაგადაცილება	-	169	-	169
60-90 დღემდე ვადაგადაცილება	-	420	-	420
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	467	467
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება (რესტრუქტურისაციის სტატუსით)	-	186	173	359
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება (რესტრუქტურისაციის სტატუსით)	-	-	42	42
სულ საცალო სესხები	29,629	780	682	31,091
ზარალის რეზერვი	(793)	(209)	(374)	(1,376)
საბალანსო ღირებულება	28,836	571	308	29,715
მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულების ჯამური ოდენობა	124,172	571	730	125,473

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოცემულია „დეფოლტის ალბათობების“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხების“ დიაპაზონები, რომლებიც გამოიყენება ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლებში:

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ზარალი დეფოლტის ალბათობა	დეფოლტის შემთხვევაში	დეფოლტს დაქვემდებარებული დეფოლტის ალბათობა	ზარალი დეფოლტის ალბათობა	დეფოლტის შემთხვევაში	დეფოლტს დაქვემდებარებული დეფოლტის ალბათობა
ბიზნეს სესხები						
დონე 1	1% - 35%	25% - 100%	100%	1% - 35%	35% - 100%	100%
დონე 2	-	-	-	38%	60%	100%
დონე 3	100%	52% - 65%	100%	100%	59% - 100%	100%

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ზარალი	დეფოლტს	დეფოლტის დაქვემდებარებული	ზარალი	დეფოლტს	დეფოლტის დაქვემდებარებული
საცალო სესხები	დეფოლტის ალბათობა	დეფოლტის შემთხვევაში	დეფოლტის დაქვემდებარებული თანხები	დეფოლტის ალბათობა	დეფოლტის შემთხვევაში	დეფოლტის დაქვემდებარებული თანხები
დონე 1	1% - 49%	56% - 100%	94% - 100%	1% - 51%	54% - 100%	91% - 100%
დონე 2	1% - 91%	56% - 100%	94% - 100%	44% - 94%	54%	91% - 100%
დონე 3	100%	53% - 100%	100%	100%	54%	100%

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ყველა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი კლასიფიცირებული იყო 1-ლი დონის ფინანსურ აქტივად. სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებზე გამოყენებული იყო 0.3% - 0.7%-მდე დიაპაზონში დეფოლტის ალბათობა (2023 წლის 31 დეკემბერი: - სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები: 0.07% - 0.7% -მდე დიაპაზონში და 1% კორპორატიულ ობლიგაციებზე); და 45%-იანი ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებზე (2023 წლის 31 დეკემბერი: სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები - 45%, კორპორატიული ობლიგაციები - 100%).

ლარი'000	31 დეკემბერი 2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები				
ამორტიზებული ღირებულებით - ბიზნეს სესხები				
B2	16,617	-	-	16,617
B3	3,632	-	-	3,632
Ba2	9,840	-	-	9,840
Ba3	9,477	-	-	9,477
Caa2	647	173	-	820
Ca-C	246	-	910	1,156
სულ	40,459	173	910	41,542
ზარალის რეზერვი	(431)	(39)	(540)	(1,010)
საბალანსო ღირებულება	40,028	134	370	40,532

მომხმარებლებზე გაცემული სესხები				
ამორტიზებული ღირებულებით - საცალო სესხები				
ვადაგადაცილების გარეშე	14,545	-	-	14,545
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	156	-	-	156
30-60 დღემდე ვადაგადაცილება	-	42	-	42
60-90 დღემდე ვადაგადაცილება	-	56	-	56
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	57	57
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	111	186	297
(რესტრუქტურისაციის სტატუსით)	-	-	88	88
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-
(რესტრუქტურისაციის სტატუსით)	-	-	-	-
სულ საცალო სესხები	14,701	209	331	15,241
ზარალის რეზერვი	(298)	(54)	(181)	(533)
საბალანსო ღირებულება	14,403	155	150	14,708
მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულების ჯამური ოდენობა	54,431	289	520	55,240

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ფლობს ბიზნეს და საცალო სესხებს 2,649 ათასი ლარის ოდენობით, რომელთათვისაც ზარალის რეზერვი არ არის აღიარებული, რადგან აღნიშნული სესხები მთლიანად დეპოზიტებით არის უზრუნველყოფილი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,323 ათასი ლარი).

რეპორტირების პერიოდის განმავლობაში ბანკს არ შეუცვლია გირაოს პოლიტიკები.

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები

გაუფასურების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები, დაშვებები და მეთოდები

ფასს 9 ხელმძღვანელობისგან მოითხოვს რიგი მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების გაკეთებას, რომლებსაც გავლენა აქვთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე. შეფასებები და მსჯელობა დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ცოდნასა და ისტორიულ გამოცდილებაზე. იხილეთ ასევე 3(e)(vii) შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა.

ხელმძღვანელობის ძირითადი მსჯელობების შეჯამება მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა

ფინანსურ ინსტრუმენტზე თავდაპირველად აღიარებული დეფოლტის რისკის არსებითი ზრდის დასადგენად, ბანკი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ბანკის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ექსპერტის საკრედიტო შეფასებისა და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ჩათვლით.

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის, საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის შესაფასებლად ბანკი იყენებს სამ კრიტერიუმს:

- სესხის რესტრუქტურზაცია;
- ხარისხობრივი მაჩვენებლები; და
- 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების „backstop“ მაჩვენებელი.

დეფოლტის ალბათობის ვადიანობის სტრუქტურის შექმნა

საცალო სესხები

სამომხმარებლო სესხების დეფოლტის ალბათობის მოდელირება დაფუძნებულია ჯგუფური ანალიზის მეთოდზე სესხის თითოეული სეგმენტისთვის ცალ-ცალკე. დეფოლტის განმარტების მიხედვით, დეფოლტის ალბათობა დაფუძნებულია ისტორიულ ყოველთვიურ მიგრაციის ანალიზზე, წინა 8 წლის პერიოდისთვის სეგმენტებში დეფოლტების შესაბამისად. იმ სეგმენტებისთვის, რომელთაც აკლიათ ისტორიული მონაცემები, პერიოდი განსხვავდება იმის მიხედვით თუ რომელი პერიოდიდან არსებობს ფაქტობრივი მონაცემები.

თითოეული სეგმენტისთვის, გამოითვლება ისტორიული საშუალო ყოველთვიური მატრიცა და სასურველი პერიოდისთვის დეფოლტის ალბათობა განისაზღვრება მატრიცის ექსტრაპოლაციით (1 წელი და მთლიანი სასიცოცხლო ციკლი).

ბიზნეს სესხები

ბიზნეს სესხისთვის დეფოლტის ალბათობა ფასდება ექსპერტის მიერ ინდივიდუალური მიდგომით, შეფასების კითხვარზე დაფუძნებული შიდა სარეიტინგო მოდელის მიხედვით და წარმოადგენს ქვეყნის რეიტინგს, კორექტირებულს თითოეული ინდივიდუალური მსესხებლის ინდივიდუალური რისკის მახასიათებლებით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი).

განსაზღვრა იმისა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითი მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპისთვის, კერძოდ ინდივიდუალურად და ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის. მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის, "backstop" მაჩვენებლის სახით ბანკი ფინანსური აქტივების ვადაგადაცილების სტატუსს იყენებს და ასევე იყენებს სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად. ქვემოთ აღწერილია საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლები:

- იურიდიული ქმედება მსესხებელზე, რომელმაც შეიძლება არსებითი ფულადი სახსრების გადინება გამოიწვიოს;
- მსესხებლის საბანკო ანგარიშზე გირაოს ან შეზღუდვების დაწესება;
- ფინანსური ინფორმაციის მოწოდების 1 წლიანი დაგვიანება;
- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუარესება, ძირითად მომწოდებელთან ხელშეკრულების დაკარგვის, ძირითადი მომხმარებლის დაკარგვის, უარყოფითი ფულადი სახსრების პროგნოზის და მომგებიანობის არსებითი გაუარესების ჩათვლით.

“backstop”-ად ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა ხდება არაუგვიანეს აქტივის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებისა, გარდა ბანკთაშორისი განთავსებებისა და სავალო ფასიანი ქაღალდებისა. ვადაგადაცილების დღეები განისაზღვრება ყველაზე პირველი ვადაგადაცილების თარიღის შემდეგ (როდესაც მთლიანი გადახდა არ იქნა მიღებული) გასული დღეების დათვლით. გადახდის თარიღებად მიიჩნევა თარიღები ნებისმიერი „საშეღავათო პერიოდის“ გათვალისწინების გარეშე, რომლითაც შეიძლება სარგებლობდეს მსესხებელი.

თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ აღარ არსებობს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, მაშინ საკრედიტო ზარალი ინსტრუმენტზე ბრუნდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებიდან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასებაზე. რესტრუქტურისაციის ან სხვა რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ფაქტორების შედეგად გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის "არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით" შეფასებულიდან "12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით" შეფასებაზე დასაბრუნებელი ზოგადი პრინციპები - 6 თანმიმდევრული წარმატებული გადახდა ინსტრუმენტზე; ამავე დროს, მსესხებელს არ უნდა ჰქონდეს მიმდინარე ვადაგადაცილება ან მნიშვნელოვანი რისკები სხვა პროდუქტზე.

დეფოლტის განმარტება

ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივი არის გადეფოლტებული, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს მის საკრედიტო ვალდებულებებს ბანკის მიმართ, ბანკის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მსესხებელი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია ან აქვს არაერთხელ რესტრუქტურისებული სესხი ბანკის მიმართ არსებულ, ნებისმიერ არსებით ვალდებულებებზე, ბანკთაშორისი განთავსებებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების გარდა;
- იზრდება ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი მოახდენს აქტივის რესტრუქტურისაციას გაკოტრების შედეგად, რომელიც გამოწვეული იქნება მსესხებლის უუნარობით გადაიხადოს მისი საკრედიტო ვალდებულებები.

მსესხებლის დეფოლტის შეფასებისას, ბანკი ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ხარისხობრივი;
- რაოდენობრივი: ვადაგადაცილების სტატუსი და ბანკის მიმართ გადაუხდელობა იგივე მსესხებლის სხვა ვალდებულებაზე; და
- ბანკის შიდა მონაცემებზე დაყრდნობით ან გარე წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

მომავალი ტენდენციების გათვალისწინება

ბანკი ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს, როგორც ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მისი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის შეფასებაში, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

ბანკმა გამოავლინა და დოკუმენტურად ასახა საკრედიტო რისკის ძირითადი დრაივერები და საკრედიტო ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, შეაფასა დამოკიდებულება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და საკრედიტო რისკსა და საკრედიტო ზარალებს შორის.

დამტკიცდა, რომ შეფასებულ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, რომელთა შორისაც არის მშპ, ინფლაცია, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი (კვარტალური ცვლილება), პორტფელის დეფოლტის ალბათობებზე სტატისტიკურად არსებითი გავლენა აქვთ. ისტორიულმა კორელაციამ 2015 წლიდან საანგარიშგებო თარიღამდე აჩვენა ურთიერთდამოკიდებულება ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსსა და დეფოლტის ალბათობას შორის. დეფოლტის ალბათობა თითოეული სეგმენტისთვის დაკორექტირდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის პროგნოზებით შესაძლო სცენარების სხვადასხვა ალბათობების გათვალისწინებით (ოპტიმისტური სცენარი - 25%, საბაზისო სცენარი - 50%, პესიმისტური სცენარი - 25%) და შედეგები შეტანილი იქნა ყოველწლიური დეფოლტის ალბათობის გამოთვლებში Vasicek-ის ფორმულის გამოყენებით.

Vasicek-ის მოდელი იყენებს კორელაციას მაკრო პარამეტრსა და დეფოლტის ალბათობას შორის, რომელიც შეფასებულია უმცირესი კვადრატული რეგრესიით და აკორექტირებს დეფოლტის ალბათობას ისტორიული დამოკიდებულების საფუძველზე, პროგნოზირებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მიხედვით.

სებ-ის მიხედვით ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის პროგნოზები არის:

	2025		
	ოპტიმისტური სცენარი	საბაზისო სცენარი	პესიმისტური სცენარი
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდა %	1	0	-9

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა, შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, შენიშვნა 3(e)(iv)-ში ასახული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

გადახდილი პირობები, როგორც წესი მოიცავს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, საპროცენტო გადახდების ვადების ცვლილებას და სასესხო კოვენანტების პირობების ცვლილებას.

როდესაც ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია და ეს მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, იმის დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა აქტივის საკრედიტო რისკი გამომდინარეობს შემდეგი შედარებიდან:

- ნარჩენი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა საანგარიშგებო თარიღისთვის, დაფუძნებული მოდიფიცირებულ პირობებზე; შედარებული
- ნარჩენი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, შეფასებული თავდაპირველი აღიარებისას არსებული მონაცემების და თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე.

როდესაც მოდიფიცირება იწვევს აღიარების შეწყვეტას, აღიარდება ახალი სესხი და მიკუთვნებულია „დონე 1“-ს (იმ დაშვებით, რომ მოცემული მომენტისთვის ის არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით).

საშეღავათო პერიოდი, გონივრულ და დასაშვებ რაოდენობრივ და თვისებრივ ინფორმაციასთან ერთად (მაგალითად, მსესხებლის გრძელვადიანი ლიკვიდურობის ან გადახდისუნარიობის პრობლემების გამო) ითვლება, რომ არსებითად ზრდის საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ ძირითად ამოსავალ მონაცემებს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურა წარმოადგენს:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

პირველი დონის დაქვემდებარებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლების გზით.

დეფოლტის ალბათობის დადგენის მეთოდოლოგია აღწერილია „დეფოლტის ალბათობის ვადიანობის სტრუქტურის შექმნა“-ში.

საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნებისთვის, ფასდება ფინანსური აქტივის დეფოლტების ზარალი. ზარალი სამომხმარებლო სესხებზე ფასდება ჯგუფურად სეგმენტების მიხედვით და ბიზნეს სესხები ინდივიდუალური მოვლენათა განვითარების მიხედვით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს სავარაუდო ზარალის ოდენობას დეფოლტის შემთხვევაში. კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ბანკი აფასებს ზარალის დეფოლტის შემთხვევაში პარამეტრებს გადეფოლტებული კონტრაქტების მიმართ მოთხოვნების ისტორიული აღდგენის განაკვეთების მიხედვით. გადეფოლტებული კლიენტები ჯგუფდება გადეფოლტების თვეების მიხედვით და „დაფარული დაქვემდებარება“ დაკავშირებულია თითოეულ ჯგუფთან. მომავალი ფულადი ნაკადების დაპროგნოზება ხდება ყოველთვიური ისტორიული საშუალო აღდგენის ზრდის მაჩვენებლის საფუძველზე. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება, როგორც ისტორიული ასევე საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ითვალისწინებს მოსალოდნელ დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს იმ თანხებთან შედარებით, რომლის აღდგენა ან დასაკუთრებული უზურუნველყოფიდან მიღება მოსალოდნელია.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები წარმოადგენს სავარაუდო დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები ფინანსური აქტივებისთვის არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას. ბანკი აკლასიფიცირებს დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს პროდუქტის მიხედვით. უზურუნველყოფილი და არა-უზურუნველყოფილი სესხებისთვის დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება ამ პროდუქტების საშუალო ნარჩენი დაფარვის ვადის მიხედვით, ყოველი წლისთვის ცალ-ცალკე. ბანკი მიიჩნევს, რომ წელიწადის შუა პერიოდი არის დეფოლტის მომენტი (მე-6 თვე), რაც ნიშნავს, რომ გადახდები ხორციელდებოდა პირველი სამი თვის განმავლობაში (მე-3 თვე) და დაქვემდებარება ხდება ვადაგადაცილებული დაწყებული მეოთხე თვიდან.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები ფინანსური ინსტრუმენტისთვის (ზემოაღნიშნულის გარდა) 100%-ით განისაზღვრება.

ზარალის რეზერვი

შემდეგი ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შეჯერებას საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით. საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგად დონეებს შორის გადატანების განსაზღვრის საფუძველი ასახულია სააღრიცხვო პოლიტიკაში; იხილეთ შენიშვნა 3 (e).

	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ლარი'000								
მომხმარებლებზე								
გაცემული სესხები								
ამორტიზებული								
ღირებულებით								
ნაშთი 1 იანვარს	730	93	720	1,543	379	63	461	903
გადატანა დონე 1-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 2-ზე	(7)	7	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(33)	(42)	75	-	(2)	(48)	50	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება*	(366)	(22)	543	155	(158)	(6)	150	(14)
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	1,260	-	-	1,260	704	-	-	704
გადატანა დონე 2-ზე	(173)	173	-	-	(84)	84	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(95)	-	95	-	(109)	-	109	-
ჩამოწერები	-	-	(539)	(539)	-	-	(50)	(50)
ნაშთი 31 დეკემბერს	1,316	209	894	2,419	730	93	720	1,543

* 155 ათასი ლარის ოდენობით ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასებიდან 435 ათასი ლარი 2024 წლის განმავლობაში დაფარულ სესხებს უკავშირდება (2023: 14 ათასი ლარიდან, 149 ათასი ლარი უკავშირდებოდა დაფარულ სესხებს).

	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ლარი'000								
მომხმარებლებზე								
გაცემული სესხები								
ამორტიზებული								
ღირებულებით - ბიზნეს სესხები								
ნაშთი 1 იანვარს	432	39	541	1,012	204	48	364	616
გადატანა დონე 1-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 2-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(22)	(39)	61	-	-	(48)	48	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(211)	-	(72)	(283)	(73)	-	119	46
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	324	-	-	324	350	-	-	350
გადატანა დონე 2-ზე	-	-	-	-	(39)	39	-	-
გადატანა დონე 3-ზე	-	-	-	-	(10)	-	10	-
ჩამოწერები	-	-	(10)	(10)	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერს	523	-	520	1,043	432	39	541	1,012

ლარი'000	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - საცალო სესხები								
ნაშთი 1 იანვარს	298	54	179	531	175	15	97	287
გადატანა დონე 1-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 2-ზე	(7)	7	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(11)	(3)	14	-	(2)	-	2	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(155)	(22)	615	438	(85)	(6)	31	(60)
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	936	-	-	936	354	-	-	354
გადატანა დონე 2-ზე	(173)	173	-	-	(45)	45	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(95)	-	95	-	(99)	-	99	-
ჩამოწერები	-	-	(529)	(529)	-	-	(50)	(50)
ნაშთი 31 დეკემბერს	793	209	374	1,376	298	54	179	531

ლარი'000	2024	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		
ნაშთი 1 იანვარს	100	73
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(35)	5
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	-	22
ნაშთი 31 დეკემბერს	65	100

შემდეგი ცხრილი ასახავს ზემოთ მოყვანილ ცხრილებში ასახული ოდენობების შეჯერებას, ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის ზარალის რეზერვების საწყისი და საბოლოო ნაშთებს შეჯერებით.

ლარი'000	2024				
	მომხმარებლებზე გაცემული სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - დირებულებით - საცალო სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - დირებულებით - საცალო სესხები
	გაცემული სესხები		გაცემული სესხები		გაცემული სესხები
	ამორტიზებული ღირებულებით - საცალო სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - დირებულებით - საცალო სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - დირებულებით - საცალო სესხები
	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	438	(283)	(35)	(106)	14
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	936	324	-	93	1,353
სულ	1,374	41	(35)	(13)	1,367
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	(160)	-	-	-	(160)
სულ	1,214	41	(35)	(13)	1,207

* სხვა ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ზარალის რეზერვის მოძრაობას ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის, მოთხოვნებისთვის საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, სასესხო ვალდებულებებისა და გაცემული ფინანსური გარანტიებისთვის.

სს „სილქ ბანკი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ლარი'000	2023				
	მომხმარებლებზე გაცემული სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - ღირებულებით - საცალო სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - ღირებულებით - საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები
	გაცემული სესხები		გაცემული სესხები		სხვა ფინანსური ინსტრუმენტები*
	ამორტიზებული ღირებულებით - საცალო სესხები		ამორტიზებული ღირებულებით - ღირებულებით - ზიზნეს სესხები		სულ
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(60)	46	5	44	35
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	354	350	22	57	783
სულ	294	396	27	101	818
ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	(226)	-	-	-	(226)
სულ	68	396	27	101	592

არსებითი ცვლილებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ზიზნეს და საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში მოცემულია ქვემოთ.

ლარი'000	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით								
ნაშთი 1 იანვარს	55,161	382	1,240	56,783	18,237	210	1,253	19,700
გადატანა დონე 1-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 2-ზე	(279)	279	-	-	(19)	19	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(947)	(193)	1,140	-	(26)	(123)	149	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	98,231	-	-	98,231	43,501	-	-	43,501
გადატანა დონე 2-ზე	(558)	558	-	-	(349)	349	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(169)	-	169	-	(193)	-	193	-
დაფარვები და სხვა მოძრაობა (გაცვლითი კურსის გადაფასებების ჩათვლით)	(25,951)	(246)	(386)	(26,583)	(5,990)	(73)	(305)	(6,368)
ჩამოწერები	-	-	(539)	(539)	-	-	(50)	(50)
ნაშთი 31 დეკემბერს	125,488	780	1,624	127,892	55,161	382	1,240	56,783

ლარი'000	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - ზიზნეს მომხმარებლები								
ნაშთი 1 იანვარს	40,460	173	909	41,542	11,621	122	1,059	12,802
გადატანა დონე 2-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(622)	(173)	795	-	-	(122)	122	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	73,577	-	-	73,577	31,657	-	-	31,657
გადატანა დონე 2-ზე	-	-	-	-	(173)	173	-	-
გადატანა დონე 3-ზე	-	-	-	-	(10)	-	10	-
დაფარვები და სხვა მოძრაობა (გაცვლითი კურსის გადაფასებების ჩათვლით)	(17,556)	-	(752)	(18,308)	(2,635)	-	(282)	(2,917)
ჩამოწერები	-	-	(10)	(10)	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერს	95,859	-	942	96,801	40,460	173	909	41,542

ლარი'000	2024				2023			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - საცალო მომხმარებლები								
ნაშთი 1 იანვარს	14,701	209	331	15,241	6,616	88	194	6,898
გადატანა დონე 1-ზე	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა დონე 2-ზე	(279)	279	-	-	(19)	19	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(325)	(20)	345	-	(26)	(1)	27	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	24,654	-	-	24,654	11,844	-	-	11,844
გადატანა დონე 2-ზე	(558)	558	-	-	(176)	176	-	-
გადატანა დონე 3-ზე	(169)	-	169	-	(183)	-	183	-
დაფარვები და სხვა მოძრაობა (გაცვლითი კურსის გადაფასებების ჩათვლით)	(8,395)	(246)	366	(8,275)	(3,355)	(73)	(23)	(3,451)
ჩამოწერები	-	-	(529)	(529)	-	-	(50)	(50)
ნაშთი 31 დეკემბერს	29,629	780	682	31,091	14,701	209	331	15,241

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	12,478	3,737
ნოსტრო ანგარიშები და დეპოზიტები	3,733	3,459
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,391	2,409
	18,602	9,605
საპროცენტო ხარჯი		
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები		
მომხმარებლებისგან	11,625	4,845
სუბორდინირებული სესხები	244	431
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	134	130
სხვა	82	69
	12,085	5,475

6. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	4,136	1,572
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	2,260	352
ცვებისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,219	971
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	838	986
კომუნალურები და საოფისე ინვენტარი	397	309
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	271	258
დატვირთვა და იჯარა	219	155
უსაფრთხოება	182	123
სხვა	1,354	622
	10,876	5,348

იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს - 150 ათას ლარს (2023: 124 ათასი ლარი).

7. ხელფასები და დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ხელფასები და გასამრჯელოები	10,966	6,529
სხვა სარგებელი	178	78
	11,144	6,607

ბანკის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა) 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 214 ადამიანს (2023: 138 ადამიანი), საიდანაც: უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა: 6 თანამშრომელი (2023: 9 თანამშრომელი), საშუალო რგოლის მენეჯერები: 50 თანამშრომელი (2023: 30 თანამშრომელი) და სხვა თანამშრომლები: 158 თანამშრომელი (2023: 99 თანამშრომელი). ყველა თანამშრომელი დასაქმებულია სრული განაკვეთით.

8. მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯი

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
მოძრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში დროებითი სხვაობების წარმოქმნისა და აღდგენის შედეგად	2,953	(149)
სულ მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	2,953	(149)

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობისთვის და საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდებზე გადატანისთვის აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგებები და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღდგენა იქნება ხელმისაწვდომი, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების გამოყენება. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 1,050 ათასი ლარის ოდენობით გადავადებული საგადასახადო აქტივები (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,852 ათასი ლარი) არ ყოფილა აღიარებული საგადასახადო ზარალებთან მიმართებაში.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2024 ლარი'000	%	2023 ლარი'000	%
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(14,369)		(7,144)	
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	2,874	(20)	1,429	(20)
მოგების გადასახადის კანონმდებლობაში ცვლილებების გავლენა და აუდიარებული საგადასახადო აქტივი	-	-	(1,545)	22
არა-გამოქვითვადი სხვაობები და სხვა	79	(1)	(33)	-
	2,953	(21)	(149)	2

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

მოძრაობა დროებით სხვაობებში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

2024 ლარი'000	1 იანვარი 2024	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	31 დეკემბერი 2024
ძირითადი საშუალებები და საკუთრებული ქონებები	(4,043)	492	105	(3,446)
საიჯარო და სხვა ვალდებულებები	(179)	2	-	(177)
საგადასახადო ზარალის გადატანა	276	(45)	-	231
	2,115	2,504	-	4,619
	(1,831)	2,953	105	1,227

2023 ლარი'000	1 იანვარი 2023	ადიარებული მოგებაში ან ზარალში	ადიარებული სხვა სრულ შემოსავალში	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალებები	(3,781)	(332)	70	(4,043)
მომხმარებლობზე გაცემული სესხები	(5)	5	-	-
დასაკუთრებული ქონებები	(78)	(101)	-	(179)
საიჯარო და სხვა ვალდებულებები	81	195	-	276
საგადასახადო ზარალის გადატანა	2,031	84	-	2,115
	(1,752)	(149)	70	(1,831)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ნაღდი ფული	3,062	2,444
ფულადი სახსრები გზაში	220	-
სებ-ში არსებული ნოსტრო ანგარიშები სავალდებულო რეზერვების გამოკლებით	2	353
ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში		
შეფასებული „BB“-დან „BB+“-მდე	15,856	7,630
შეფასებული „B+“ და დაბლა	726	1,231
სულ ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში	16,582	8,861
ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
90 დღემდე დაფარვის ვადის მქონე ვადიანი ანაზრები		
საკრედიტო ინსტიტუტებში	-	19,612
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ბრუტო	19,866	31,270
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	(17)
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წმინდა	19,866	31,253

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის ვადაგადაცილებული. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს 9-ის ფარგლებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მიზნით, ბანკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს განიხილავს 1-ლი დონის ფინანსურ ინსტრუმენტად (2023 წლის 31 დეკემბერი: დონე 1).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს არ აქვს განთავსებული 90 დღემდე დაფარვის ვადის მქონე ვადიანი ანაზრები საკრედიტო ინსტიტუტებში. (2023: 10,000 ათასი ლარის და 9,500 ათასი ლარის ოდენობით ვადიანი ანაზრები, 10.5% და 9.5%-იანი საპროცენტო განაკვეთებით (შესაბამისად), განთავსებული იყო ქართულ ბანკებში გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგებით B+ და BB (Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით)).

ყველა კომერციული ბანკი Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ არის შეფასებული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავს ერთი კონტრაქტის, რომლის ნაშთი შეადგენს 15,682 ათას ლარს, რაც აჭარბებს ბანკის კაპიტალის 10%-ს (2023 წლის 31 დეკემბერი: ორი კონტრაქტის, რომელთა ნაშთები (შესაბამისად) შეადგენს 16,376 ათას ლარს და 10,092 ათას ლარს, რაც აჭარბებს ბანკის კაპიტალის 10%-ს).

10. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
სებ-ის სავალდებულო რეზერვი	2,955	2,701
90 დღეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე ვადიანი ანაბრები	10,093	20,190
სულ მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, ბრუტო	13,048	22,891
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(5)	(37)
სულ მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, წმინდა	13,043	22,854

2024 წელს საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან იქონიონ სებ-ში პროცენტთან ფულადი ანაბარი (სავალდებულო რეზერვი), რომელიც ტოლი იქნება მომხმარებლებისგან და არარეზიდენტი საფინანსო დაწესებულებებისგან (შესაბამისი ორკვირიანი პერიოდის მანძილზე საკრედიტო ინსტიტუტებთან არსებული, ლარში ან უცხოურ ვალუტაში დენომინირებული) მოზიდული ფულადი სახსრების საშუალო ოდენობის 5%-ისა ლარში და 10%-დან 25%-მდე უცხოურ ვალუტაში (თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტის მიხედვით), შესაბამისად. თუმცა, ნარჩენი დაფარვის ვადების მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში მოზიდული ფულადი სახსრები 1 წელზე მეტი დაფარვის ვადით და უცხოურ ვალუტაში 2 წელზე მეტი დაფარვის ვადით, გათავისუფლებულია რეზერვის მოთხოვნებისგან, მაშინ, როდესაც უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფულადი სახსრები დაფარვის ვადით 1-დან 2-წლამდე ექვემდებარება 10%-20%-მდე რეზერვის მოთხოვნას (დოლარიზაციის კოეფიციენტის მიხედვით).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს 9-ის ფარგლებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მიზნით, საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნებს ბანკი განიხილავს 1-ლი დონის ინსტრუმენტებად (2023 წლის 31 დეკემბერი: დონე 1).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 5,000 ათასი ლარის და 5,000 ათასი ლარის ოდენობით ვადიანი ანაბრები, 11.825%-იანი და 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად, განთავსებული იყო ორ ქართულ ბანკში გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B+ და B, შესაბამისად (Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). ხელმძღვანელობამ ვადიან ანაბარზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 5 ათასი ლარით შეაფასა. (2023: 20,000 ათასი ლარის ოდენობით ვადიანი ანაბარი, 10.25%-იანი საპროცენტო განაკვეთით, განთავსებული იყო ერთ ქართულ ბანკში გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B+. ხელმძღვანელობამ ვადიან ანაბარზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 37 ათასი ლარით შეაფასა).

11. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები	24,463	25,000
კორპორატიული ობლიგაციები	-	2,214
სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	24,463	27,214

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	დაფარვის ვადა	ოდენობა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	დაფარვის ვადა	ოდენობა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავალო ფასიანი ქაღალდები კორპორატიული ობლიგაციები (შპს „Austrian Georgian Development“)*	9.1 – 10.3	2025 - 2030	24,463	9.1 – 11.6	2024 - 2030	25,000
	-	-	-	9	2025	2,214

* კორპორატიული ობლიგაციები დაიფარა ვადამდე ადრე, ინსტრუმენტში ჩაშენებული გამოსყიდვის ოფციის (call option) გამოყენებით.

არცერთი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი არ არის ვადაგადაცილებული. 2024 წლის განმავლობაში, ბანკს არ შეუძენია ახალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (2023: 816 ათასი აშშ დოლარი) და 2,827 ათასი ლარის ოდენობით საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები იქნა დაფარული (2023: 7,000 ათასი ლარი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აკუთვნებს 1-ელ დონეს ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოვლენის მიზნით (2023 წლის 31 დეკემბერი: დონე 1). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,356 ათასი ლარის ოდენობით სამთავრობო სახაზინო ობლიგაციები იყო დაგირავებული საკრედიტო ინსტიტუტისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული (იხ. შენიშვნა 16)).

12. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ბიზნეს სესხები		
კორპორატიული სესხები	15,573	17,249
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	81,228	24,293
სულ ბიზნეს სესხები	96,801	41,542
საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო სესხი - უზრუნველყოფის გარეშე	10,084	5,797
სამომხმარებლო სესხი - უზრუნველყოფილი	21,007	9,444
სულ საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31,091	15,241
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები, ბრუტო	127,892	56,783
ზარალის რეზერვი	(2,419)	(1,543)
წმინდა მომხმარებლებზე გაცემული სესხები	125,473	55,240

ბიზნეს სესხებში შეტანილია უკუ-ფაქტორინგის ხელშეკრულებიდან მიღებული მოთხოვნა მთლიანი საბალანსო ღირებულებით 9,027 ათასი ლარი, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (2023 წლის 31 დეკემბერი: 8,825 ათასი ლარი).

ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

(a) გირაოს და სხვა სასესხო უზრუნველყოფის ანალიზი

(i) კორპორატიული სესხები და მიკრო და მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები

კორპორაციული და მიკრო და მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები ექვემდებარება ინდივიდუალურ საკრედიტო შეფასებას და გაუფასურებაზე ტესტირებას. ბიზნეს კლიენტის ზოგადი კრედიტუნარიანობა არის მისთვის გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხის ყველაზე შესაფერისი მაჩვენებელი. თუმცა, გირაო უზრუნველყოფს დამატებით დაზღვევას და ბანკი, როგორც წესი მოითხოვს მას ბიზნეს კლიენტებისგან.

ბანკი ყოველწლიურად აახლებს ქონების შეფასებას, რომელიც ფლობილია ბიზნეს სესხების გირაოს სახით.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბიზნეს კლიენტებზე გაცემული სესხების საპირწონედ ფლობილი იდენტიფიცირებადი ქონების (უძრავი ქონება) საბალანსო ღირებულება და ღირებულება. თითოეული სესხისთვის, წარმოდგენილი გირაოს ღირებულების ზედა ზღვარი არის იმ სესხის ნომინალური ღირებულება, რომლის საპირწონედაც ის არის ფლობილი.

	2024		2023	
	საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფა	საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფა
დონეები 1 და 2	95,336	46,637	40,162	21,424
დონე 3	422	422	370	370
	95,758	47,059	40,532	21,794

ზემოთ მოცემული ცხრილები გამორიცხავს ნამეტ უზრუნველყოფას.

მრავალი სახის გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებისთვის, გაუფასურების შესაფასებლად გათვალისწინებული იყო მხოლოდ უძრავი ქონება და ფულადი სახსრების/დეპოზიტის უზრუნველყოფა.

იმ სესხების ამოღება, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული ძირითადად დამოკიდებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე და არა უზრუნველყოფის ღირებულებაზე, და ბანკი ყოველთვის არ აახლებს უზრუნველყოფის შეფასებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ამ პერიოდის განმავლობაში ბანკს არ შეუცვლია გირაოს პოლიტიკები.

(ii) საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები

ყველა საცალო უზრუნველყოფილი სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მანქანებით ან დეპოზიტებით. საცალო უზრუნველყოფილი სესხების ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, LTV კოეფიციენტით დაახლოებით 47% (2023 წლის 31 დეკემბერი: 43%). საკრედიტო რისკით გაუფასურებული სესხების დაახლოებით 55% იყო უზრუნველყოფილი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (2023 წლის 31 დეკემბერი: 22%).

(b) სესხის გაუფასურების შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მსჯელობები

ბანკის მიერ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები არის შემდეგი:

- დეფოლტის ალბათობა (PD) - დეფოლტის ალბათობა არის გარკვეულ დროის პერიოდში დეფოლტის მოხდენის ალბათობა. დეფოლტის ალბათობა შეფასებულია მიგრაციის მატრიცების გამოყენებით და მოდელში გამოყენებულია მაკროეკონომიკური საპროგნოზო მონაცემები;
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) - წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის შეფასებას; ზარალი დეფოლტის შემთხვევაში მოდელი ითვალისწინებს გადეფოლტებული კლიენტებისგან ფულადი სახსრების სახით მიღებულ თანხებს, დისკონტირებულს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შემდგომ კეთდება პროგნოზები ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) - „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“ წარმოადგენს ფინანსური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას დეფოლტის დადგომისას.

აღნიშნული დაშვებების 10%-იანმა ზრდამ (მაქსიმუმ 100%-მდე), იმ დაშვებით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი რჩება, შეიძლება კლიენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2024 წლისთვის იქონიოს შემდეგი გავლენა: 12 ათასი ლარიდან 1,869 ათას ლარამდე დიაპაზონში საცალო კლიენტებისთვის და დაახლოებით 4,906 ათას ლარამდე ბიზნეს კლიენტებისთვის (2023 წლისთვის: 1 ათასი ლარიდან 671 ათას ლარამდე დიაპაზონში საცალო კლიენტებისთვის და დაახლოებით 1,723 ათას ლარამდე ბიზნეს კლიენტებისთვის).

(c) არსებითი საკრედიტო რისკები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავს სამი მსესხებელი 10,605 ათასი, 9,022 ათასი და 7,837 ათასი ლარის ოდენობით ნაშთით, რომელთა ნაშთები აღემატება კაპიტალის 10%-ს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავს ერთი მსესხებელი 8,816 ათასი ლარის ოდენობით ნაშთით, რომლის ნაშთები აღემატება კაპიტალის 10%-ს).

(d) სესხების დაფარვის ვადები

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადა წარმოდგენილია შენიშვნაში 23(c), რომელიც ასახავს დარჩენილ პერიოდს საანგარიშგებო თარიღიდან სესხების სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე.

13. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

ლარი'000	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	ავტო და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
თვითღირებულება/ გადაფასებული ღირებულება							
ნაშთი							
2023 წლის 1 იანვარს	17,807	1,850	894	162	102	1,563	22,378
შესყიდვები	-	164	42	-	82	1,075	1,363
გასვლები	-	(12)	(90)	-	-	(111)	(213)
გადაფასების გავლენა	(724)	-	-	-	-	-	(724)
ნაშთი							
2023 წლის 31 დეკემბერს	17,083	2,002	846	162	184	2,527	22,804
ნაშთი							
2024 წლის 1 იანვარს	17,083	2,002	846	162	184	2,527	22,804
შესყიდვები	480	296	232	3	921	316	2,248
გასვლები	(3,362)	(12)	(155)	-	-	(31)	(3,560)
გადაფასების გავლენა	(378)	-	-	-	-	-	(378)
ტრანსფერები	125	-	-	-	3	(128)	-
ნაშთი							
2024 წლის 31 დეკემბერს	13,948	2,286	923	165	1,108	2,684	21,114
ცვეთა							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	1,508	844	162	7	842	3,363
წლის ცვეთა	374	154	16	-	25	89	658
გასვლები	-	(9)	(86)	-	-	(54)	(149)
გადაფასების გავლენა	(374)	-	-	-	-	-	(374)
ნაშთი							
2023 წლის 31 დეკემბერს	-	1,653	774	162	32	877	3,498
ნაშთი							
2024 წლის 1 იანვარს	-	1,653	774	162	32	877	3,498
წლის ცვეთა	328	180	18	-	37	160	723
გასვლები	(12)	(11)	(145)	-	-	-	(168)
გადაფასების გავლენა	(316)	-	-	-	-	-	(316)
ნაშთი							
2024 წლის 31 დეკემბერს	-	1,822	647	162	69	1,037	3,737
საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერს	17,807	342	50	-	95	721	19,015
2023 წლის 31 დეკემბერს	17,083	349	72	-	152	1,650	19,306
2024 წლის 31 დეკემბერს	13,948	464	276	3	1,039	1,647	17,377

ბანკს აქვს იჯარით აღებული ფილიალბი, სერვის ცენტრები და სასაწყობო სივრცეები. იჯარა აღიარებულია, როგორც „აქტივის გამოყენების უფლება“ და შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია იმ დღიდან, როდესაც იჯარით მიღებული აქტივი ბანკისათვის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია.

ლარი'000	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	1,191	294
ახალი ხელშეკრულებების დამატება	-	1,033
სახელშეკრულებო პირობებში არსებითი ცვლილებების შედეგად ღირებულების შემცირება	(42)	
ცვეთის დარიცხვა	(266)	(136)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	883	1,191

მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები შეადგენდა 219 ათას ლარს 2024 წლის განმავლობაში (2023: 155 ათასი ლარი) აღნიშნული ხარჯები „ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებშია“ შეტანილი (შენიშვნა 6).

(a) გადაფასებული აქტივები

2024 წელს, ხელმძღვანელობამ დამოუკიდებელ შემფასებელს დაავალა შეფასებინა მიწა და შენობა-ნაგებობები 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით. მიწა და შენობა-ნაგებობები ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

ხელმძღვანელობა რეგულარულად ახდენს მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების და შეფასების კორექტირებების მიმოხილვას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული მიმოხილვის შედეგად, მიწისა და შენობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 13,948 ათასი ლარის ოდენობით (2023: 17,083 ათასი ლარი) და ასახავს საბაზრო ფასებს უკანასკნელ გარიგებებში. მიწა და შენობები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეში.

მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს ქონების მახასიათებლებში, როგორც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. თითოეულ ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან არაემპირულ ამოსავალ მონაცემთან დაკავშირებული კორექტირებები 0% -დან 10%-მდე დიაპაზონში მერყეობდა (2023: 0%-10% მდე). შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება სამართლიანი ღირებულების შეფასებას 697 ათასი ლარით შეცვლიდა (2023: 854 ათასი ლარი).

მიწისა და შენობა-ნაგებობების თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით შეფასების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულებები იქნებოდა შემდეგი:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
თვითღირებულება	11,135	14,122
დაგროვილი ცვეთა	(3,431)	(3,344)
წმინდა საბალანსო ღირებულება	7,704	10,778

(b) კაპიტალური ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა 1,347 ათასი ლარის ოდენობით კაპიტალური ვალდებულებები, რაც დაკავშირებული იყო შემდეგ შესყიდვებთან: ბანკის მობილური აპლიკაცია, მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოდული, გადახდების და ლოიალურობის სისტემა, კომპლექსური პროგრამული გადაწყვეტის დეველოპმენტი და ინტეგრაცია საბანკო სისტემასთან და სხვა პროგრამული უზრუნველყოფები (2023 წლის 31 დეკემბერი: ბანკს არ ჰქონდა არსებითი კაპიტალური ვალდებულებები).

14. სხვა აქტივები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ავანსები	12,390	3,536
დასაკუთრებული ქონებები	3,453	3,652
დებიტორული მოთხოვნები აქციონერებისგან	2,362	1,013
მოთხოვნები დებიტორებისგან	321	389
საგადასახადო აქტივები	267	268
სხვა	99	53
	18,892	8,911

(a) დასაკუთრებული ქონებები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დასაკუთრებული ქონებები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
უძრავი ქონება	3,453	3,652
სულ დასაკუთრებული ქონებები	3,453	3,652

2024 წელს, ბანკმა აღადგინა დასაკუთრებული ქონებების გაუფასურება 105 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებული იყო მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (2023: 558 ათასი ლარი).

ბანკის პოლიტიკაა გაყიდოს ეს აქტივები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება.

15. მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
მიმდინარე ანგარიშები	16,938	15,780
ვადიანი ანაზრები	131,388	82,868
	148,326	98,648

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველაზე მსხვილი კლიენტის მიმართ ვალდებულება შეადგენდა 63,129 ათას ლარს (სულ მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების ნაშთების 43%) (2023: 50,060 ათასი ლარი (51%)).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავს სამი კლიენტი, რომელთა ნაშთები შეადგენს 63,129 ათას ლარს, 16,102 ათას ლარს და 7,141 ათას ლარს და აჭარბებს ბანკის კაპიტალის 10%-ს (2023: ბანკს ჰყავდა ერთი კლიენტი, რომლის ნაშთი შეადგენდა 50,060 ათას ლარს და აჭარბებდა ბანკის კაპიტალის 10%-ს).

მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან მოიცავს ანგარიშებს მომხმარებელთა შემდეგი ტიპებისთვის:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ფიზიკური პირები:		
- მიმდინარე ანგარიშები	5,074	4,777
- ვადიანი ანაზრები	45,365	24,754
სულ ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ:	50,439	29,531
კომერციული იურიდიული პირები:		
- მიმდინარე ანგარიშები	11,864	11,003
- ვადიანი ანაზრები	20,995	6,164
სულ ვალდებულებები კომერციული იურიდიული პირების მიმართ:	32,859	17,167
სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტები		
- მიმდინარე ანგარიშები	-	-
- ვადიანი ანაზრები	65,028	51,950
სულ ვალდებულებები სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტების მიმართ	65,028	51,950
სულ მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან	148,326	98,648

მომხმარებელთა ანგარიშების ანალიზი ეკონომიკური სექტორების მიხედვით არის შემდეგი:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული		
სუბიექტები	65,029	51,950
ფიზიკური პირები	50,439	29,531
ფინანსური მომსახურება	19,248	3,212
ვაჭრობა და მომსახურება	4,691	2,841
მშენებლობა	3,007	735
უძრავი ქონება	2,122	3,940
ტრანსპორტირება და კომუნიკაციები	1,530	5,185
საინვესტიციო საქმიანობა	143	-
სხვა	2,117	1,254
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები		
მომხმარებლებისგან	148,326	98,648

16. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
სესხები საქართველოს ეროვნული ბანკისგან	4,134	-
ვადიანი ანაზღაურებები	-	298
	4,134	298

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ბანკს აქვს ორი დაუფარავი სესხის ნაშთი სეზ-ის მიმართ: 2,002 ათასი ლარის ოდენობით სესხი, რომლის დაფარვის ვადაა 2025 წლის 3 იანვარი და რომლის საპროცენტო განაკვეთია 8.34% და 2,132 ათასი ლარის ოდენობით სესხი, რომლის დაფარვის ვადაა 2025 წლის 3 იანვარი და რომლის საპროცენტო განაკვეთია 8.75%. სეზ-ისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისად: 2,110 ათასი ლარის და 2,246 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებით (იხ. შენიშვნა 11) (2023: ბანკს არ აქვს დაუფარავი სესხის ნაშთი სეზ-ის მიმართ)

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების მოძრაობა

ლარი'000	სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	სუბორდინირებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	2,879	1,254	4,133
ცვლილებები საფინანსო				
ფულადი ნაკადებიდან				
სესხების მიღება	74,298	2,532	-	76,830
სესხების დაფარვა	(70,166)	(3,307)	-	(73,473)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	-	-	(236)	(236)
სულ ცვლილებები საფინანსო				
ფულადი ნაკადებიდან	4,132	(775)	(236)	3,121
უცხოური გაცვლითი კურსის				
ცვლილებების გავლენა	-	36	29	65
ვალდებულებასთან				
დაკავშირებული ცვლილებები				
სახელმწიფო პირობებში არსებითი ცვლილებების შედეგად ღირებულების შემცირება	-	-	(41)	(41)
საპროცენტო ხარჯი	86	244	82	412
გადახდილი პროცენტი	(84)	(252)	(82)	(418)
სულ სხვა ცვლილებები	2	(8)	(41)	(47)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	4,134	2,132	1,006	7,272

ლარი'000	სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	სუბორდინირებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	10,027	2,879	293	13,199
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან				
სესხების მიღება	24,169	-	-	24,169
სესხების დაფარვა	(34,168)	-	-	(34,168)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა			(106)	(106)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(9,999)	-	(106)	(10,105)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	-	-	34	34
ვალდებულებასთან დაკავშირებული ცვლილებები				
ახალი იჯარები	-	-	1,033	1,033
საპროცენტო ხარჯი	130	431	41	602
გადახდილი პროცენტი	(158)	(431)	(41)	(630)
სულ სხვა ცვლილებები	(28)	-	1,033	1,005
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	2,879	1,254	4,133

17. სუბორდინირებული სესხები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
სუბორდინირებული სესხები	1,053	2,879
სუბორდინირებული ობლიგაციები	1,079	-
	2,132	2,879

სუბორდინირებული ვალდებულებების სახელშეკრულებო დეტალები:

31 დეკემბერი 2024 ლარი'000						
ვადის დაწყების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ხელშეკრულების თავდაპირველი დირებულება ვალუტაში	საბალანსო დირებულება ლარში	
სესხი	23-Sep-2024	24-Sep-2029	USD	12.0%	375	1,053
ობლიგაცია 1	03-Jul-2024	29-Apr-2029	USD	12.5%	300	838
ობლიგაცია 2	05-Nov-2024	29-Apr-2029	USD	12.5%	41	115
ობლიგაცია 3	06-Dec-2024	29-Apr-2029	USD	12.5%	45	126

31 დეკემბერი 2023 ლარი'000						
GEL'000	ვადის დაწყების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ხელშეკრულების თავდაპირველი დირებულება ვალუტაში	საბალანსო დირებულება ლარში
Silk Road Group Holding (Malta) Limited	30-Dec-2021	30-Dec-2031	GEL	15.0%	2,500	2,503
Silk Road Group Holding (Malta) Limited	18-Aug-2022	30-Dec-2031	GEL	15.0%	375	376

2024 წლის 8 იანვარს, აქციონერისგან, „Silk Road Group Holding (Malta) Limited“-სგან მიღებულ იქნა 431 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხი, 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით და დაფარვის ვადით 2031 წლის 31 დეკემბერი.

2024 წლის აპრილში ბანკმა „Silk Road Group Holding (Malta) Limited“-სგან მიღებული სუბორდინირებული სესხები საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული თანხმობის საფუძველზე ვადაზე ადრე სრულად ჩაფარა. აღნიშნული თანხები შეტანილ იქნა ბანკის პირველად კაპიტალში.

2024 წლის 30 აპრილს, ბანკმა 10,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სუბორდინირებული ობლიგაციები გამოუშვა. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ჯამში 386 ათასი აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების სუბორდინირებული ობლიგაციები იყო გაყიდული. ემისიის ფორმა საჯარო შეთავაზებაა. ობლიგაციები არ არის დალისტული საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ძირი თანხები დასაფარია დაფარვის ვადის დადგომისას. სუბორდინირებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი. კრედიტორს არ აქვს მომავალი გადახდების (პროცენტი ან ძირი თანხა) დაჩქარების უფლება, გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევების გარდა. სუბორდინირებული სესხის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობების მიღების შემთხვევაში.

სუბორდინირებული სესხები გათვალისწინებულია ბანკის საზედამხებდევლო კაპიტალში, როგორც მეორადი (Tier 2) კაპიტალი, 1,709 ათასი ლარის ოდენობით (2023: 2,875 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 24). მეორად (Tier 2) კაპიტალში გათვალისწინებული ინსტრუმენტი საზედამხებდევლო მიზნებისთვის ამორტიზირდება წრფივი მეთოდით დაფარვის ვადამდე დარჩენილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ემიტენტის (ბანკის) ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული სესხის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება ყველა სხვა დეპოზიტორისა და კრედიტორის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ბანკს არ ჰქონია სუბორდინირებულ სესხებთან დაკავშირებული ძირი თანხის ან პროცენტის გადახდების, ან სხვა სახის დარღვევები.

18. სხვა ვალდებულებები

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
გაცემული გარანტიების ქვეშ უზრუნველყოფილი დეპოზიტები	3,645	1,555
ვალდებულებები კრედიტორების მიმართ	1,704	1,310
ანარიცხები	91	56
სხვა	145	41
	5,585	2,962

19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(ა) გამოშვებული კაპიტალი და სააქციო პრემია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი მოიცავდა 867,464 ცალ ავტორიზებულ აქციას, ნომინალური ღირებულებით 100 ლარი თითოეული, საიდანაც 843,846 ავტორიზებული აქცია სრულად იყო გადახდილი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 727,464 ცალ ავტორიზებული აქციები, ნომინალური ღირებულებით 100 ლარი თითოეული, საიდანაც 717,332 ავტორიზებული აქცია სრულად იყო გადახდილი). თითოეულ გამოშვებულ აქციაზე მინიჭებულია ერთი ხმის უფლება, შესაბამისად, ბანკში ხმის უფლების საერთო რაოდენობა 867,464-ს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა ჯამში 140,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 14,000,000 ლარით, საიდანაც 11,638,200 ლარი იქნა გადახდილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დარჩენილი 2,361,800 ლარი აღიარებული იყო როგორც დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან (იხ. შენიშვნა 14). აღნიშნული აქციების გამოშვება განხორციელდა არსებულ აქციონერებზე 2024 წლის 10 აპრილს, 16 სექტემბერსა და 13 ნოემბერს - 34,647; 35,353 და 70,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი. 2025 წლის 10 მარტს სრულად დაიფარა 2,361,800 ლარის დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან.

2023 წლის 13 ოქტომბერს, ბანკმა გამოუშვა 98,000 ჩვეულებრივი აქცია თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი არსებულ აქციონერებზე და სააქციო კაპიტალი 9,800,000 ლარით გაზარდა, საიდანაც 8,786,800 ლარი იყო განადღებული 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო დარჩენილი 1,013,200 ლარი აღიარებული იყო, როგორც დებიტორული მოთხოვნები აქციონერებისგან (იხ. შენიშვნა 14). 2024 წლის 1 თებერვალს სრულად დაიფარა 1,013,200 ლარის დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან.

ახალი აქციების გამოშვებამ გამოიწვია არსებული აქციონერების საკუთრების და ხმის მიცემის უფლებამოსილების ცვლილება.

ბანკის სააქციო კაპიტალი შედგება აქციონერების შენატანებისგან ქართულ ლარში და მათ ეკუთვნით დივიდენდები და ნებისმიერი კაპიტალის განაწილება ქართულ ლარში.

(b) რეზერვების ბუნება და მიზნობრიობა

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი მოიცავს ძირითადი საშუალებების კუმულაციურ დადებით გადაფასებულ ღირებულებას ცვეთის გაუნაწილებელ მოგებაში გადატანის შემდეგ, მანამ სანამ აქტივების აღიარება არ შეწყდება ან არ გაუფასურდება.

(c) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდების მოცულობა შეზღუდულია ბანკის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგების ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

20. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ბანკის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური რაოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი სამართლებრივი ქმედებების ან საჩივრების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზანკის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია არის "Silk Road Group Holding (Malta) Limited", რომელიც ზანკის სააქციო კაპიტალის 57.63%-ს ფლობს (ზანკის აქციონერთა სტრუქტურა წარმოდგენილია შენიშვნაში 1 (a)). "Silk Road Group Holding (Malta) Limited" არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

ზანკის ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლებიც ფლობენ მისი აქციების 10%-ზე მეტს არიან გიორგი რამიშვილი, ერკინ ტატიშვილი და ალექსი თოფურიძე.

(b) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც შეტანილია "ხელფასები და დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები" 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის არის შემდეგი:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	1,760	1,840

დაუფარავი ნაშთები და საშუალო სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
გაცემული სესხები - წმინდა საბალანსო ღირებულება		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	4,664	4,779
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	98	56
სხვა დაკავშირებული მხარეები	891	-
სუბორდინირებული სესხები		
აქციონერები	-	2,879
მიმდინარე ანგარიშები და მომხმარებლებისგან მიღებული დეპოზიტები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	4,194	9,711
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	289	274
აქციონერები	35	483
სხვა	479	735

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ძირითადად გრძელვადიანია და ატარებს საშუალო საპროცენტო განაკვეთს 9%-დან 36% -მდე (2023: ძირითადად გრძელვადიანი, საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9%-დან 17%-მდე). მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს დაკავშირებული მხარეებისგან ძირითადად დაფარვის ვადა აქვთ 1 წლის განმავლობაში და ატარებენ 11%-მდე საშუალო საპროცენტო განაკვეთს (2023: ძირითადად მოკლევადიანი, საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 13.4%-მდე).

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები უზრუნველყოფილია გირაოთი, რომელთან სესხის ღირებულების თანაფარდობაც 91% -დან 185%-მდე მერყეობს (2023: 34% -დან 165%-მდე). დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არის 57 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 57 ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში, გაუფასურების აღდგენა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე შეადგენდა ნულს (2023: 18 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემული ავანსები არამატერიალური აქტივების შემენისთვის 11,288 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო დებიტორული მოთხოვნები აქციონერებისგან - 2,362 ათას ლარს და შეტანილი იყო სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (იხ. შენიშვნა 14). (2023 წლის 31 დეკემბრისთვის, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემული ავანსები არამატერიალური აქტივების შემენისთვის 2,408 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო დებიტორული მოთხოვნები აქციონერებისგან - 1,013 ათას ლარს და შეტანილი იყო სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოების მიმართ ბანკის ვალდებულება პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისთვის 111 ათას ლარს შეადგენდა (2023: ნული).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემული ფინანსური გარანტიები 433 ათას ლარს შეადგენდა (2023: 1,766 ათასი ლარი), მათ შორის 433 ათასი ლარის გაცემული ფინანსური გარანტია იყო დეპოზიტით უზრუნველყოფილი (2023: 1,566 ათასი ლარი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ ყოფილა აღიარებული დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ფინანსური გარანტიებისთვის (2023: 5 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა 1,347 ათასი ლარის ოდენობით კაპიტალური ვალდებულებები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოების მიმართ (იხ. შენიშვნა 13 (b)).

2024 წელს ბანკმა ერთ-ერთი საკუთარი შენობა გაყიდა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოზე 3,372 ათასი ლარის (დღგ-ს გარეშე) სასარგებლოდ.

მოგებაში ან ზარალში შეტანილი, დაკავშირებულ მხარეებთან (ძირითადად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები) განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ოდენობები, 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არის შემდეგი:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
მოგება ან ზარალი		
საპროცენტო შემოსავალი	625	563
ამონაგები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან	121	70
საკომისიო შემოსავალი	58	71
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(1,775)	(345)
საპროცენტო ხარჯი	(499)	(477)
სხვა (ხარჯი)/შემოსავალი	(29)	2
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	-	(144)

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები

ბანკი სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ქვემოთ მოცემული სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც აღნიშნული შეფასებების ფორმირებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას ასახავს:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.

- დონე 2: ამოსავალი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე მიჩნეულ ბაზრებზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული ფასები; ან სხვა შეფასების მეთოდები, რომლებშიც ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემი პირდაპირ ან ირიბად არის დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებიდან.
- დონე 3: არაემპირიული ამოსავალი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდები მოიცავს არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ საწყის პარამეტრებს და არადაკვირვებად საწყის პარამეტრებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება ანალოგიურ ინსტრუმენტებზე კოტირებული ფასების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების თუ დაშვებების გამოყენება ინსტრუმენტებს შორის არსებული სხვაობების ასახვის მიზნით.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, იხილეთ შენიშვნა 23.

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

23. რისკის მართვა

(a) კორპორატიული მმართველობა, შიდა კონტროლის პოლიტიკები და პროცედურები

ბანკი ვალდებულია მართოს თავისი ფინანსური რისკები, რომლებიც წარმოიშვება მისი ოპერაციების შედეგად, რათა მიაღწიოს თავისი პოლიტიკის მიზნებს და ასევე ბანკის ფინანსური მდგომარეობის მართვისას. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ბანკი შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი; და
- საოპერაციო რისკი.

რისკი არის საბანკო საქმიანობის თანდაყოლილი მახასიათებელი, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია, რისკის ლიმიტებს და სხვა კონტროლის მექანიზმებს დაქვემდებარებული, მუდმივი გამოვლენის, შეფასების და მონიტორინგის საფუძველზე. რისკის მართვის აღნიშნული პროცესი არის გადამწყვეტი ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ყველა პირი ბანკში არის პასუხისმგებელი რისკის დაქვემდებარებებზე მისი პასუხისმგებლობების ფარგლებში.

დამოუკიდებელი რისკის კონტროლის პროცესი არ მოიცავს ბიზნეს რისკებს, როგორცაა ცვლილებები გარემო პირობებში, ტექნოლოგიაში და მრეწველობაში. მათზე წარმოებს დაკვირვება ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების მეშვეობით.

რისკის მართვის სტრუქტურა

საკრედიტო კომიტეტის წევრებს დირექტორთა საბჭოსთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან და რისკების მართვის კომიტეტთან ერთად ეკისრებათ საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვაზე, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვაზე. სესხების დამტკიცებას, შეთანხმებული სესხის დამტკიცების ლიმიტების საფუძველზე, ახორციელებენ საკრედიტო კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

სამეთვალყურეო საბჭო საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკეული დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ამჟამად რისკი იმართება მმართველ საბჭოსთან არსებული, შემდეგი ერთეულების მიერ:

- საკრედიტო რისკს მართავს რისკების მართვის დეპარტამენტი და შესაბამისი საკრედიტო რისკის კომიტეტები;
- ლიკვიდურობის რისკს მართავს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO);
- საბაზრო რისკს მართავს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO);
- საოპერაციო რისკს მართავს რისკების მართვის დეპარტამენტი.

(b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი გასწევს ზარალს იმიტომ, რომ მისი მომხმარებლები, კლიენტები ან კონტრაქტები ვერ შეასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიშობა ბანკის სასესხო და სხვა გარიგებებიდან კონტრაქტებთან, რაც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს ბანკისთვის.

ბანკი ახდენს მის მიერ ნაკისრი საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას, ერთ მსესხებელთან ან მსესხებლების ჯგუფებთან მიმართებაში გაწეული რისკის ოდენობაზე ლიმიტების დაწესებით.

ბანკმა შექმნა საკრედიტო კომიტეტი ერთიდან ოთხ დონემდე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე. თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ლიმიტები განსხვავდება სესხის ზომის და/ან ტიპის მიხედვით.

შესაბამისი კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერების მიერ გახსნილი სასესხო განაცხადები გადაცემულია შესაბამის საკრედიტო კომიტეტზე ამ სესხის საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება ასევე იმართება, ნაწილობრივ, გირაოს მოპოვებით და კორპორატიული ან ინდივიდუალური გარანტიებით.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება კონტროლდება მენეჯმენტის, საკრედიტო რისკების კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ბანკი მუდმივად აკონტროლებს მის ინდივიდუალურ საკრედიტო დაქვემდებარებებს და რეგულარულად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. აღნიშნული მიმოხილვა ეფუძნება მომხმარებლის უახლეს ფინანსურ ანგარიშგებას და მსესხებლის მიერ მოწოდებულ სხვა ინფორმაციას, ან ბანკის მიერ სხვაგვარად მოპოვებულ ინფორმაციას.

მაქსიმალური დაქვემდებარება ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16,804	28,809
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	13,043	22,854
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	125,473	55,240
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	24,463	27,214
სხვა ფინანსური აქტივები	2,694	1,301
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება	182,477	135,418

მომხმარებლებზე გაცემული სესხების სანაცვლოდ ფლობილი უზრუნველყოფის ანალიზისა და მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო რისკის კონცენტრაციაზე ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 4 და შენიშვნაში 12.

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს თავისი კლიენტების მიერ მესამე მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ფიქსირებული ლიმიტი და მათი ვადა, ხუთ წლამდე გრძელდება. ფინანსური გარანტიების სახელშეკრულებო ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 13,418 ათას ლარს, მათ შორის 2,589 ათასი ლარის გაცემული ფინანსური გარანტია იყო დეპოზიტით უზრუნველყოფილი (2023 წლის 31 დეკემბერი: ფინანსური გარანტიების სახელშეკრულებო ოდენობები - 4,287 ათასი ლარი, მათ შორის 1,566 ათასი ლარის გაცემული ფინანსური გარანტია იყო დეპოზიტით უზრუნველყოფილი). გარანტიებისთვის ასახული ოდენობები წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც იქნებოდა აღიარებული საანგარიშგებო თარიღისთვის თუ კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ფინანსურ გარანტიებს, ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, 1-ელი დონის ფარგლებში ანაწილებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა 23 ათას ლარს შეადგენს (2023 წლის 31 დეკემბერი: 8 ათასი ლარი).

(c) ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში. რისკის ლიმიტირებისთვის, ბანკის ხელმძღვანელობა მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით, და თვალს ადევნებს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას ყოველდღიურ საფუძველზე. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და მაღალი შეფასების მქონე გირაოს ხელმისაწვდომობის შეფასებას, რომელიც შეიძლება ასევე, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ბანკი ასევე ინარჩუნებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რათა საჭიროების შემთხვევაში დააგირაოს სებ-ში და მიიღოს დაფინანსება.

ბანკის მიერ ლიკვიდურობის პოზიცია ფასდება და იმართება სებ-ის მიერ დაწესებულ კონკრეტულ ლიკვიდურობის კოეფიციენტზე დაყრდნობით. სებ-ი მოითხოვს ბანკებისგან 100%-ზე მეტი ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნებას. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კოეფიციენტი იყო შემდეგი:

	2024	2023
LCR “ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი”*	253.80%	260.54%

*წინამდებარე კოეფიციენტი არ არის აუდიტირებული.

შემდგომ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივების, ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები უახლოესი შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მიხედვით. სულ ჯამური თანხის შემოძინება და გაძინება, აღწერილი ცხრილებში, არის სახელშეკრულებო, არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის შემდეგი:

ლარი'000	მოთხოვნამდე					სულ ბრუტო	
	და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	შემოძინება (გაძინება)	საბალანსო ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,866	-	-	-	-	19,866	19,866
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,956	10,306	-	-	-	13,262	13,043
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	715	-	8,257	19,403	1,472	29,847	24,463
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	5,090	12,625	52,023	68,014	39,074	176,826	125,473
სხვა ფინანსური აქტივები	332	2,362	-	-	-	2,694	2,694
სულ ფინანსური აქტივები	28,959	25,293	60,280	87,417	40,546	242,495	185,539
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	(4,137)	-	-	-	-	(4,137)	(4,134)
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(20,541)	(8,604)	(104,061)	(24,151)	-	(157,357)	(148,326)
მომხმარებლებისგან სუბორდინირებული სესხები	(22)	(43)	(185)	(3,070)	-	(3,320)	(2,132)
საიჯარო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	(1,347)	(57)	(3,769)	(1,107)	-	(6,280)	(5,972)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(26,047)	(8,704)	(108,015)	(28,328)	-	(171,094)	(160,564)
წარმოებული ხელშეკრულებები							
- ფულადი ნაკადების შემოძინება	-	-	22,578	11,410	-	33,988	70
- ფულადი ნაკადების გაძინება	-	-	(22,454)	(11,228)	-	(33,682)	(240)
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	2,912	16,589	(47,611)	59,271	40,546	71,707	24,805

- ბანკის „3-12 თვემდე“ ჯგუფში წმინდა ვალდებულების პოზიციის მიუხედავად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი არ არის დაქვემდებარებული არსებით ლიკვიდურობის რისკს, შემდეგის გამო: საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს აქვთ სემ-სგან დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა სამთავრობო სახაზინო ობლიგაციების 95%-ის და/ან კომერციული ბანკების მიერ ფლობილი კორპორატიული სახაზინო ობლიგაციების 80%-ის ოდენობით. ბანკის მიერ ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 24,463 ათას ლარს შეადგენდა (იხ. შენიშვნა 11).
- ნაკლებად სავარაუდო მოვლენათა უარყოფითი განვითარების შემთხვევაში, ბანკს შეუძლია უკან მიჰყიდოს გრძელვადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები საქართველოს ეროვნულ ბანკს ან გაყიდოს ისინი მეორად ბაზარზე.

სს „სილქ ბანკი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის შემდეგი:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	სულ ბრუტო თანხის შემოძინება (გადინება)	საბალანსო ღირებულება
ლარი'000							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,171	10,259	-	-	-	31,430	31,253
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,700	20,528	-	-	-	23,228	22,854
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	715	529	1,705	30,627	1,615	35,191	27,214
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,415	3,698	23,624	32,419	15,157	77,313	55,240
სხვა ფინანსური აქტივები	1,301	-	-	-	-	1,301	1,301
სულ ფინანსური აქტივები	28,302	35,014	25,329	63,046	16,772	168,463	137,862
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	(298)	-	-	-	-	(298)	(298)
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(18,076)	(2,969)	(76,245)	(6,710)	-	(104,000)	(98,648)
მომხმარებლებისგან სუბორდინირებული სესხები	-	-	(432)	(1,726)	(4,171)	(6,329)	(2,879)
საიჯარო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2,119)	(51)	(373)	(1,325)	(275)	(4,143)	(3,887)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(20,493)	(3,020)	(77,050)	(9,761)	(4,446)	(114,770)	(105,712)
წარმოებული ხელშეკრულებები							
- ფულადი ნაკადების შემოძინება	2,421	2,732	8,337	-	-	13,490	134
- ფულადი ნაკადების გადინება	(2,391)	(2,689)	(8,068)	-	-	(13,148)	-
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	7,839	32,037	(51,452)	53,285	12,326	54,035	32,284

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი „1ლი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, მათი სახელშეკრულებო აღდგენის ან დაფარვის ვადების მიხედვით:

	2024			2023		
	1 წლის განმავლობაში	1 წელზე მეტი	სულ	1 წლის განმავლობაში	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,866	-	19,866	31,253	-	31,253
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	13,043	-	13,043	22,854	-	22,854
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	39,593	85,880	125,473	16,119	39,121	55,240
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7,123	17,340	24,463	523	26,691	27,214
სხვა ფინანსური აქტივები	2,694	-	2,694	1,301	-	1,301
სულ	82,319	103,220	185,539	72,050	65,812	137,862
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	(4,134)	-	(4,134)	(298)	-	(298)
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან	(128,645)	(19,681)	(148,326)	(93,145)	(5,503)	(98,648)
სუბორდინირებული სესხები	-	(2,132)	(2,132)	(4)	(2,875)	(2,879)
საიჯარო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	(4,986)	(986)	(5,972)	(2,509)	(1,378)	(3,887)
სულ	(137,765)	(22,799)	(160,564)	(95,956)	(9,756)	(105,712)
წმინდა დაქვემდებარება	(55,446)	80,421	24,975	(23,906)	56,056	32,150

ბანკის უნარი დააკმაყოფილოს მისი ვალდებულებები დამოკიდებულია მის უნარზე მოახდინოს იგივე ოდენობის აქტივების რეალიზაცია დროის იგივე პერიოდში.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი, უცხოური გაცვლითი კურსი, და კაპიტალის ფასები. უცხოურ ვალუტაში და წინსწრების რისკებში კონცენტრაციების გარდა, ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდევო ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
ფინანსური აქტივები	176,608	131,417
ფინანსური ვალდებულებები	(154,592)	(101,825)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის პოზიცია:	22,016	29,592
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდა	220	296
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით შემცირება	(220)	(296)

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს პროცენტთან აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენენ აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მიახლოებას მათი დაფარვის თარიღისთვის.

	2024			2023		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები
პროცენტთან აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4.93%	4.09%	0.52%	10.01%	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	18.17%	10.15%	-	18.74%	11.08%	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9.16%	-	-	9.40%	9.00%	-
პროცენტთან ვალდებულებები						
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები						
მომხმარებლებისგან	10.48%	5.26%	-	11.27%	4.27%	-
სუბორდინირებული სესხები	-	12.93%	-	15.00%	-	-
ვალდებულებები						
საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	8.55%	-	-	-	-	5.50%
საიჯარო ვალდებულებები	10.00%	7.68%	-	10.00%	7.23%	-

(ii) სავალუტო რისკი

ბანკს გააჩნია სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები.

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ახორციელებს სავალუტო რისკზე დაქვემდებარების ჰეჯირებას, ფასს-ს მიხედვით ესეთი ქმედებები არ კვალიფიცირდება როგორც ჰეჯირების ურთიერთობები.

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების უცხოურ ვალუტაზე დაქვემდებარების სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი ლარი'000	ევრო ლარი'000	სხვა ლარი'000	სულ ლარი'000
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,266	487	91	17,844
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,873	82	-	2,955
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	47,994	-	-	47,994
სხვა ფინანსური აქტივები	77	62	-	139
სულ აქტივები	68,210	631	91	68,932
ვალდებულებები				
მიმდინარე ანგარიშები და მომხმარებლებისგან მიღებული დეპოზიტები	(25,580)	(394)	-	(25,974)
სუბორდინირებული ვალდებულებები	(2,132)	-	-	(2,132)
საიჯარო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	(4,603)	(13)	-	(4,616)
სულ ვალდებულებები	(32,315)	(407)	-	(32,722)
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა*	(33,682)	-	-	(33,682)
წმინდა პოზიცია	2,213	224	91	2,528

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების უცხოურ ვალუტაზე დაქვემდებარების სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარი ლარი'000	ევრო ლარი'000	სხვა ლარი'000	სულ ლარი'000
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,486	446	82	10,014
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,679	22	-	2,701
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	17,741	-	-	17,741
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,214	-	-	2,214
სხვა ფინანსური აქტივები	34	1	-	35
სულ აქტივები	32,154	469	82	32,705
ვალდებულებები				
მიმდინარე ანგარიშები და მომხმარებლებისგან მიღებული დეპოზიტები	(19,257)	(166)	-	(19,423)
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	-	(298)	-	(298)
საიჯარო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2,632)	(11)	-	(2,643)
სულ ვალდებულებები	(21,889)	(475)	-	(22,364)
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა*	(12,102)	-	-	(12,102)
წმინდა პოზიცია	(1,837)	(6)	82	(1,761)

* ზემოთ წარმოდგენილი ცხრილში მოცემულია ფორვარდული ხელშეკრულებების ნომინალური ოდენობები. ბრუტო ოდენობით აღრიცხული ნომინალური ოდენობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების ოდენობას, საორიენტაციო განაკვეთს და წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შეფასების საფუძველს. ნომინალური ოდენობები მიანიშნებს წლის ბოლოს დაუფარავი გარიგებების მოცულობაზე და არ იძლევა მინიშნებას საკრედიტო რისკზე.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციებიდან და ფორვარდული ხელშეკრულებებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა 632 ათასი ლარის ოდენობით, 2024 წელს (2023: 871 ათასი ლარი) წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების მოძრაობას ფორვარდულ გაცვლით ხელშეკრულებებზე და საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს წლის განმავლობაში და ასევე, მოიცავს ცვლილებებს ნაშთებში საანგარიშგებო თარიღებისთვის, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად.

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
ლარი'000	ნომინალური ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	ნომინალური ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
უცხოური ვალუტის წარმოებული ხელშეკრულება				
გაყიდვა აშშ დოლარი შესყიდვა ლარი	33,682	(170)	12,102	104
შესყიდვა აშშ დოლარი გაყიდვა ლარი	-	-	1,046	30
შესყიდვა ევრო გაყიდვა ლარი	-	-	-	-
შესყიდვა ევრო გაყიდვა აშშ დოლარი	-	-	-	-
გაყიდვა ევრო შესყიდვა აშშ დოლარი	-	-	-	-
		(170)		134

18,892 ათასი ლარის ოდენობით "სხვა აქტივებში" შეტანილია ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულება 70 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 8,911 ათასი ლარის ოდენობით "სხვა აქტივებში" შეტანილია ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებები სამართლიანი ღირებულებით 134 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 5,585 ათასი ლარის ოდენობით "სხვა ვალდებულებებში" შეტანილია ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულება 240 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,962 ათასი ლარის ოდენობით "სხვა ვალდებულებები" არ მოიცავს ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებების სამართლიან ღირებულებას).

ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება 304 ათასი ლარის ოდენობით 2024 წელს შეტანილია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და ფორვარდული ხელშეკრულებებიდან მიღებულ 632 ათასი ლარის ოდენობით წმინდა შემოსულობაში (ზემოაღნიშნულის შესაბამისად) (2023: სამართლიანი ღირებულების ცვლილება 179 ათასი ლარის ოდენობით შეტანილია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და ფორვარდული ხელშეკრულებებიდან მიღებულ 871 ათასი ლარის ოდენობით წმინდა შემოსულობაში).

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონის ფარგლებში.

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარი	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის	
	არსებული სპოტ-კურსი			
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

ლარის გაუფასურება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი ჩატარდა გადასახადების გამოკლებით, და ეფუძნება უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებას, რასაც ბანკი მიიჩნევს გონივრულად შესაძლებელს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2024 ლარი'000	2023 ლარი'000
აშშ დოლარის 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში	177	(147)
ევროს 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში	18	-

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე მითითებული ოდენობებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი.

(e) საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ კონტროლის სტრუქტურისა და მონიტორინგის და პოტენციურ რისკებზე რეაგირების საშუალებით ბანკს შეუძლია რისკების მართვა. კონტროლის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, წვდომის, უფლებამოსილების მინიჭებასა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

24. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს შესაბამისი კაპიტალს ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა კონტროლდება, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობის მიზნით დადგენილი კოეფიციენტებით (სხვა ზომებთან ერთად).

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია (i) უზრუნველყოფა იმისა, რომ ბანკი შესაბამისობაში იყოს სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებთან, (ii) ბანკის მიერ ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით საქმიანობის გაგრძელების უზრუნველყოფა და ბანკის კაპიტალის მონიტორინგი ყოველდღიური და ყოველთვიური ანგარიშებით, რომელიც მიმოხილულია და წარდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და თავისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ბანკს შეუძლია ხელახლა შეაფასოს თავისი ბიზნეს სტრატეგია ან შეცვალოს აქციონერებისთვის კაპიტალზე უკუგების ოდენობა ან გამოუშვას დამატებითი კაპიტალი. წინა წლებთან შედარებით არ ყოფილა შეტანილი ცვლილებები მიზნებში, პოლიტიკებსა და პროცესებში.

კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ ეროვნული ბანკის დადგენილების თანახმად (დადგენილება N100/04) 2017 წლის 18 დეკემბერს გადახედილი იქნა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების კოეფიციენტები. კაპიტალის მოთხოვნები მოიცავს პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნას (4.5%, 6.0%, 8.0% ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის (CET1), პირველადი კაპიტალისთვის (Tier1) და მთლიანი კაპიტალისთვის, შესაბამისად), კომბინირებულ ბუფერებსა (კონტრაციკლური და კაპიტალის კონსერვაციის ბუფერები, რომლებიც 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შესაბამისად, 0.25%-ით და 2.5% განისაზღვრა) და პილარ 2-ის ბუფერებს.

ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს უნდა შეენარჩუნებინა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 25.64%, 20.49% და 16.60%-ის დონეზე, შესაბამისად (2023: 26.18%, 20.58% და 16.34%, შესაბამისად). ბანკი შესაბამისობაში იყო აღნიშნული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული რეგულაციების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კომერციულმა ბანკებმა მიიღეს ფასს სტანდარტები საზედამხედველო ანგარიშებისთვის და შესაბამისობაში არიან საზედამხედველო რეგულაციებთან, ფასს სტანდარტებზე დაფუძნებული მაჩვენებლებითა და მიდგომებით. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშება ფასს სტანდარტებზე დაფუძნებული ეროვნული ბანკის სააღრიცხვო წესებისა და კაპიტალის ადეკვატურობის ბაზელ III ჩარჩოს შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

ლარი'000	2024	2023
პირველადი კაპიტალი*	52,965	53,096
მეორადი კაპიტალი*	1,709	2,875
სულ საზედამხედველო კაპიტალი*	54,674	55,971
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	193,115	120,853
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი*	28.31%	46.31%
ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET I)		
ადეკვატურობის კოეფიციენტი / პირველადი		
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	27.43%	43.93%

*აღნიშნული ოდენობები არ არის აუდიტირებული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის (არა-აუდიტირებული), ბანკი შესაბამისობაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნასთან 50,000 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: ბანკი შესაბამისობაში იყო მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნასთან 50,000 ათასი ლარის ოდენობით, გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 2 (c)).

25. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 10 მარტს სრულად დაიფარა 2,362 ათასი ლარის დებიტორული მოთხოვნა აქციონერისგან.

2025 წლის 7 თებერვალს, ბანკმა გამოუშვა 150,000 ჩვეულებრივი აქცია თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი არსებულ აქციონერებზე

წინამდებარე წლიური ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ ბანკმა გაყიდა სუბორდინირებული ობლიგაციები ჯამური ღირებულებით - 565 ათასი აშშ დოლარი და სუბორდინირებული სესხები 740 ათასი აშშ დოლარის და 1,440 ათასი ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში მენეჯმენტმა დაიწყო ბანკის ბიზნეს ოპერაციების სტრატეგიული გადახედვა. ციფრული არხების წარმატებული დანერგვისა და მათი დამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგების მიხედვით, ბანკი განიხილავს ბიზნეს სესხების პორტფელის ნაწილის შესაძლო გაყიდვას. აღნიშნული ინიციატივა შეესაბამება ბანკის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს, რომ გააძლიეროს ფოკუსი ციფრულ ბანკინგზე და გააუმჯობესოს ტექნოლოგიური შესაძლებლობები. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარდაჭერილ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2025 წლის 7 თებერვალს გამართულ სხდომაზე.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, გაყიდვა არ განხორციელებულა, გაყიდვის ხელშეკრულება არ არის გაფორმებული და ბიზნეს სესხების პორტფელის იმ ნაწილის ზუსტი მოცულობა და სტრუქტურა, რომელიც განიხილება გასაყიდად, ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. ბანკი განაგრძობს აღნიშნული პოტენციური ტრანზაქციის შეფასებას, მათ შორის მისი სტრუქტურის, განხორციელების მიდგომისა და სტრატეგიული შესაბამისობის ანალიზს.

სს „სილქ ბანკი“

მმართველობითი ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024

სარჩევი

1.	საქმიანობის მიმოხილვა.....	2
1.1	ბანკის სტრატეგია.....	3
1.2	განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	4
1.3	ძირითადი ფინანსური ინფორმაცია	4
1.4	რისკების მართვა	10
1.5	აღმასრულებელი დონის კომიტეტები.....	12
2.	კორპორაციული მართვა.....	15
3.	არაფინანსური ინფორმაცია	19
3.1.	დასაქმების საკითხები.....	19
3.2.	ადამიანთა უფლებების დაცვა.....	20
4.	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები	20
5.	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	21

წინამდებარე შუალედური მმართველობით ანგარიშგება ასახავს სს „სილქ ბანკის“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბანკი“) შესახებ ძირითად ინფორმაციას, რომელიც მომზადებულია საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საფუძველზე.

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „სილქ ბანკი“ დაარსდა 2000 წელს და აღნიშნული პერიოდიდან ემსახურება საცალო და ბიზნეს კლიენტებს. 2005 წელს ბანკის 49% წილის მფლობელი გახდა სს „ბტა ბანკი“ (ყაზახეთი), რის შედეგადაც ბანკმა შეიცვალა სახელი და გახდა სს „ბტა-სილქ როუდ ბანკი“. 2008 წელს რებრენდინგის შედეგად ბანკს ეწოდა სს „ბითიეი ბანკი საქართველო“. 2014 წელს სილქ როუდ ჯგუფმა შეიძინა სს „ბტა ბანკი ყაზახეთის“ კუთვნილი აქციები და გახდა ბანკის 99,9% აქციების მფლობელი. ამასთან, 2014 წლის ოქტომბერში მოხდა კომპანიის რებრენდინგი და ბანკმა განაგრძო ფუნქციონირება სს „სილქ როუდ ბანკის“ სახელწოდებით. 2015-2016 წლებში მოხდა ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი შემცირება, კერძოდ, დაიხურა ბანკის ყველა ფილიალი და თანამშრომელთა რიცხოვნობა შეამცირა 250-დან 70-მდე. აღნიშნულ პერიოდში ბანკს არ მოუზიდია ახალი არც საცალო და არც ბიზნეს კლიენტები. აღნიშნულ პერიოდში ბანკის მიერ არ მომხდარა მნიშვნელოვანი აქტივობა საფინანსო ბაზარზე. 2017 წლიდან ბანკმა დაიწყო საქმიანობა ონლაინ სესხებისა (მომსახურება გაუწია 18,000-ზე მეტ კლიენტს) და ფასიანი ქაღალდების საბროკერო მიმართულებით. 2020 წლის განმავლობაში, მოხდა ცვლილება ბანკის აქციონერთა შორის და ბანკის მთავარი აქციონერი გახდა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521). 2021 წლის განმავლობაში ბანკის 38.23%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „პარტომტა“ (ს/კ 404580271) ხოლო მთავარ აქციონერად დარჩა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521) რომელიც ბანკის 61.76%-ს ფლობდა. 2022 წლიდან ბანკის აქციონერთა ახალი ხედვის თანახმად, სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა საცალო და MSME სეგმენტი და ამასთანავე მიზნად დაისახა წამყვანი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. 2022 წლის სექტემბერში რებრენდინგის შედეგად ბანკს ეწოდა სს „სილქ ბანკი“. ამავე წელს ბანკმა გამოუშვა 18,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი. გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა და ბანკის ახალი აქციონერი 2.85%-იანი წილით გახდა სს „სილქ ჰოლდინგი“ (ს/კ 405496404). 2023 წლის 13 ოქტომბერს, ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა 98,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი, შედეგად გაიზარდა ბანკის სააქციო კაპიტალი 9,800,000 ლარით. 2024 წლის განმავლობაში ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა ჯამში 140,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი, შედეგად ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 14,000,000 ლარით. აღნიშნული აქციების გამოშვება განხორციელდა არსებულ აქციონერებზე 2024 წლის 10 აპრილს, 16 სექტემბერსა და 13 ნოემბერს და გამოშვებული იქნა - 34,647; 35,353 და 70,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 100 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განთავსებული სააქციო კაპიტალი მოიცავდა 867,464 ავტორიზებულ აქციას, თითოეული ნომინალური ღირებულებით 100 ლარი, საიდანაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად განაღდებულია 843,846 ცალი აქცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521) რომელიც ბანკის 57.63% ფლობს, შპს „პარტომტა“ (ს/კ 404580271) – 35.67%-იანი წილით, სს „სილქ ჰოლდინგი“ (ს/კ 405496404) – 6.70% და სხვა - 0.00% (2023: „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521) – 58.83%, შპს „პარტომტა“ (ს/კ 404580271) – 36.42%, სს „სილქ ჰოლდინგი“ (ს/კ 405496404) – 4.74%, სხვა - 0.01%). ბანკის 5%-ზე მეტი წილის მქონე ბენეფიციარი მფლობელები არიან გიორგი რამიშვილი, ერკინ ტატიშვილი, ალექსი თოფურია, ალექსანდრე ხეთაგური და დევიდ ფრანკ ბორგერი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი მომხმარებლებს მომსახურებას უწევდა თბილისის სათაო ოფისის, თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში განთავსებული სერვის ცენტრების მეშვეობით.

ბანკის ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მოზიდვას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს, ასევე, ნებისმიერ იმ საქმიანობას, რაც განსაზღვრულია/ნებადართულია „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

კანონმდებლობით. ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას სალიცენზიო ნომრით 238 და მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ).

ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ზაარბრუკენის მოედანი 2, თბილისი 0102, საქართველო.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით, ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 214 ადამიანი (2023 წელი: საშუალოდ 138 ადამიანი).

1.1 ბანკის სტრატეგია

ბანკის სტრატეგიას წარმოადგენს ინოვაციური ციფრული ფინანსური და არაფინანსური პროდუქტებისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ბანკის ბიზნეს მოდელი გულისხმობს შემოსავლების მიღებას მომხმარებლისთვის საბანკო მომსახურების მიწოდებით. ასეთი ბიზნეს მოდელის დაფინანსების წყარო არის ბანკის კაპიტალი და მოზიდული სახსრები ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტებიდან.

ბანკის სტრატეგიული მიზნები ძირითადად ფოკუსირდება მაღალი ხარისხის აქტივებზე, ახალი პროდუქტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე, გონივრული საბანკო პრაქტიკის დაცვასა და რისკის მართვის პერსპექტივების გაძლიერებაზე.

ბანკი აქტიურად მუშაობს თავის სტრატეგიულ სეგმენტებზე: საცალო სექტორი და მიკრო ბიზნესი. ბანკის მიზანია ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა მათთვის ვინც ამჟამად ნაკლებად იყენებს საბანკო მომსახურებას (underbanked segment).

მისი ხედვაა შექმნას საბანკო მომსახურების მაღალი სტანდარტი. გახდეს მომხმარებლების რჩეული ბანკი და სანდო პარტნიორი. აქტიური მოთამაშე საბანკო სფეროში.

ეკონომიკაში კრიზისის შედეგად გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორსა და მრეწველობაში. დივერსიფიცირებული სექტორის დაფინანსება, ბანკს საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური შესაძლო დანაკარგით.

დიגיტალიზაცია

ბანკი ამჟამად გადის მნიშვნელოვან რეორგანიზაციას და ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. ბანკის მენეჯმენტს დაგეგმილი აქვს ბიზნესის ძირეული გაციფრულება, რაც გულისხმობს მთლიანი ინფრასტრუქტურის ცვლილებას და ღრუბლოვანი (Cloud) სერვისებით ჩანაცვლებას, მიკრო სერვისებზე აწყობილ გარემოს, რაც პროდუქტის მიწოდების ხარისხს და დროს გააუმჯობესებს, მონაცემთა შენახვის გამართულ პროტოკოლს, შესაბამისად მონაცემთა ჰკვიან ანალიზს და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას.

ბანკის ზრდის სტრატეგია ფოკუსირებულია მომხმარებელთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდაზე, მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზების გზით. ბანკი წარმატების ძირითად მაჩვენებლად განიხილავს ყოველდღიურად/ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების (MAU/DAU) და მომხმარებლების ლოიალურობის ინდექსის (NPS) ზრდას.

როგორც ამ ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ნაწილი, ბანკი არა მხოლოდ იყენებს უახლესი ციფრული ინსტრუმენტებს, არამედ ნერგავს ახალ სტრატეგიულ პლატფორმას და განახლებს მის ვიზუალურ იდენტობას. სანამ მისი ძირითადი სერვისები ციფრულ სფეროში გადადის, ბანკი სტრატეგიულად ინარჩუნებს ფიზიკურ ფილიალებს საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

ბანკი იყენებს რამდენიმე ძირითად ტექნოლოგიურ გზას: გადახდები, პროდუქტის ინოვაცია, ციფრული საბანკო სერვისები, ლოიალობის პროგრამები, ჩაშენებული ფინანსური სერვისები და სხვა. საწყის ეტაპზე, აქცენტი კეთდება რეგისტრირებული და დამოწმებული მომხმარებლების რაოდენობის გაზრდაზე ციფრული არხების საშუალებით, როგორცაა მობილური აპლიკაცია, სხვადასხვა სოციალური პლატფორმა და SMS კომუნიკაცია.

შემდგომში, ბანკი აპირებს გააღრმავოს მომხმარებელთა ჩართულობა ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი ლოიალობის პროგრამებისა და სხვა მიმზიდველი ციფრული ინიციატივების მეშვეობით. ბანკი ელოდება, რომ კლიენტების უფრო მაღალი კმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია ტექნოლოგიებზე ორიენტირებული გაუმჯობესებით, ბუნებრივად გამოიწვევს სიტყვიერ რეკლამირებისა და ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობებს.

ეს ყოვლისმომცველი ტექნოლოგიური სტრატეგია ხაზს უსვამს ბანკის ვალდებულებას დარჩეს მუდმივად განვითარებადი საბანკო ლანდშაფტის წინა პლანზე. თანამედროვე ტექნოლოგიების ძალის გამოყენებით, ბანკი მიზნად ისახავს კლიენტებისთვის მორგებული, ეფექტური და ინოვაციური ფინანსური სერვისების მიწოდებას.

გაციფრულების პროცესის პარალელურად დადგა საჭიროება შექმნილიყო ბანკის ბრენდის ახალი სტრატეგიული პლატფორმა და ახალი ვიზუალური იდენტობა.

1.2 განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ბანკმა 2023 წლის პირველ კვარტალში დაიწყო ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს ბანკის არსებული პროდუქტების და პროცესების განახლებას, რის შედეგადაც საბანკო სერვისი და პროდუქტები გახდება უფრო ხელმისაწვდომი და მორგებული მომხმარებლების მოთხოვნებზე. ციფრული პლატფორმის შექმნა ბანკმა 2023 წლის პირველ კვარტალში დაიწყო, რომელიც 2024 წელს გახდება ხელმისაწვდომი. ბანკი აგრძელებს აღნიშნულ ტრანსფორმაციას 2024 წელსაც. ამასთანავე, ბანკი უკვე ახორციელებს ახალი მომხმარებლების მოზიდვას და არსებული პროდუქტების შეთავაზებას გაყიდვების ალტერნატიული არხების მეშვეობით (როგორიცაა ბანკის მობილური აპლიკაცია, სხვადასხვა სოციალური პლატფორმა, SMS და სხვა). ციფრული ტრანსფორმაციის ფარგლებში ბანკი მომდევნო წლებშიც მრავალი სიახლის შეთავაზებას აპირებს მომხმარებლებისთვის.

ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა შემოსავლების დადასტურების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, რაც მომხმარებლებს აძლევს საშუალებას შემოსავლების დოკუმენტურად დადასტურების გარეშე, გამარტივებული პროცედურებით, უმოკლეს ვადებში, დისტანციურად ისარგებლონ საბანკო კრედიტით.

ბანკში დანერგილია დისტანციური იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის სერვისი, რაც ბევრად უფრო მოქნილსა და გამარტივებულს ხდის ახალი კლიენტების რეგისტრაციას, საკრედიტო განაცხადების და მომხმარებლისგან/მონაცემთა სუბიექტისგან მათი მონაცემების საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში გადამოწმების შესახებ თანხმობის მიღებას.

1.3 ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარებში)

დასახელება	2024	2023	ცვლილება	შენიშვნა
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	125,473	55,240	70,233	მომხმარებლებზე გაცემული სესხების ზრდას ძირითადად განაპირობებს შემდეგი: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სესხების პორტფელი გაიზარდა 15,850 ათასი ლარით, ხოლო ბიზნეს სესხების პორტფელი გაიზარდა 55,057 ათასი ლარით 2023 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე გაიზარდა ფაქტორინგული კონტრაქტები 202 ათასი ლარით. სესხების პორტფელის ზრდასთან ერთად 2024 წელს გაიზარდა შექმნილი რეზერვის ბალანსიც დაახლოებით 876 ათასი ლარით.
მთლიანი აქტივები	223,027	167,089	55,938	მთლიანი აქტივების ზრდას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- „ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“ შემცირება 11,387 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება სხვა კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების შემცირებას და აღნიშნული თანხების მიმართვას სასესხო პორტფელის ზრდაზე.
- „მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ“ - შემცირება 9,811 ათასი ლარით, რომელიც უკავშირდება კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების შემცირებას 10,065 ათასი ლარით და სავალდებულო რეზერვების ზრდას 254 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ბანკის კლიენტების ანგარიშების/დეპოზიტების ზრდით (იხილეთ მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან).
- სასესხო პორტფელის ზრდა 70,233 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი);
- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შემცირება 2,751 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება წლის მანძილზე 2,827 ათასი ლარის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვას (საიდანაც 500 ათასი ლარის ოდენობის ფასიანი ქაღალდები დაიფარა ვადის შესაბამისად, ხოლო 2,327 ათასი კორპორატიული ფასიანი ქაღალდის დაფარვა მოხდა ვადაზე ადრე);
- ძირითადი საშუალებები შემცირდა 1,929 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ბანკის საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი შენობის რეალიზაციას;
- არამატერიალური აქტივები გაიზარდა 683 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ახალი აქტივების (სხვადასხვა საბანკო პროდუქტების პროგრამული უზრუნველყოფა/ფუნქციონალი და მოდულები, თაღლითობის პრევენციის პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა) შეძენას.
- გადავადებული საგადასახადო აქტივების ზრდა 1,227 ათასი ლარით, რაც დაკავშირებულია წინა წლების დაგროვილი საგადასახადო ზარალების მომავალ საგადასახადო პერიოდზე გადატანასთან.
- სხვა აქტივების ზრდა 9,981 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ბანკის მობილური აპლიკაციისთვის, მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოდულისთვის, კომპლექსური პროგრამული გადაწყვეტის დეველოპმენტის და სხვა პროგრამული მოდულების იმპლემენტაციისთვის გადახდილი ავანსების ზრდას 8,833 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრის მსგომარეობით აღიარებულია მოთხოვნა აქციონერის მიმართ (გაუნაღდებელი კაპიტალის ნაწილი) 2,362 ათასი ლარის ოდენობით.

				მთლიანი აქტივების სხვა მუხლებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა.
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები მომხმარებლებისგან	148,326	98,648	49,678	მომხმარებლების მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების ზრდა 49,678 ათასი ლარით, რაც უკავშირდება იურიდიული კლიენტების მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების ზრდას 28,770 ათასი ლარით, ხოლო ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების ზრდას 20,908 ათასი ლარით, რაც განპირობებულია ბანკის დეპოზიტების ზრდისთვის მიმართული აქტიური კამპანიის შედეგად.
მთლიანი ვალდებულებები	161,183	107,872	53,311	მთლიანი ვალდებულებების ბალანსის ცვლილებას ძირითადად განაპირობებს: - მომხმარებლების მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების ზრდა 49,678 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი); - ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ გაიზარდა 3,836 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ეროვნული ბანკისგან მოკლევადიანი სესხის მიღებას 4,134 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის მანძილზე ასევე ჩაიხურა სხვა კომერციული ბანკისგან მიღებული დეპოზიტები 298 ათასი ლარის ოდენობით. - სუბორდინირებული ვალის შემცირება 747 ათასი ლარით. 2024 წლის 8 იანვარს ბანკმა აქციონერიგან - „Silk Road Group Holding (Malta) Limited“-ისგან დამატებით მიიღო 431 ათასი ლარის სუბორდინირებული სესხი, ხოლო 2024 წლის აპრილში „Silk Road Group Holding (Malta) Limited“-სგან მიღებული სუბორდინირებული სესხები ჯამში 3,465 ათასი ლარის ოდენობით ვადაზე ადრე დაიფარა საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული თანხმობის საფუძველზე. 2024 წლის აპრილში, ბანკმა გამოუშვა 10,000 ათასი აშშ დოლარის სუბორდინირებული ობლიგაციები, საიდანაც 2024 წლის 31 დეკემბრისთვის განადგებული იყო 386 ათასი აშშ დოლარის ოდენობის (1,083 ათასი ლარის ექვივალენტის) ობლიგაციები. 2024 წლის მეორე ნახევარში ბანკმა მიიღო ახალი სუბორდინირებული სესხი თანხით 1,053 ათასი ლარი. - გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების შემცირება 1,831 ათასი ლარით (იხილეთ „გადავადებული საგადასახადო აქტივების“ ცვლილება). - სხვა ვალდებულებები გაიზარდა - 2,623 ათასი ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია გაცემული გარანტიების უზრუნველყოფაში არსებული დეპოზიტების ზრდასთან (2,090 ათასი ლარი).

მთლიანი ვალდებულებების სხვა მუხლებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა.

ბანკის მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი მუხლების მიმოხილვა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარებში)

დასახელება	2024	2023	ცვლილება	შენიშვნა
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	6,517	4,130	2,387	წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: - 2024 წელს საპროცენტო შემოსავლი გაიზარდა 8,997 ათასი ლარით 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2024 წელს გაიზარდა როგორც სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, რაც უკავშირდება წლის მანძილზე ბიზნეს და საცალო სესხების პორტფელის ზრდას, ასევე გაიზარდა ფაქტორინგიდან, ნოსტრო ანგარიშებიდან და ბანკთაშორისი დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი. - პარალელურად, ამავე პერიოდში საპროცენტო ხარჯები გაიზარდა 6,610 ათასი ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია დეპოზიტების მოზიდვის აქტიური კამპანიის განხორციელებასთან და შესაბამისი პორტფელის ზრდასთან 2024 წლის განმავლობაში 2023 წელთან შედარებით.
უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების და გადაფასების წმინდა ეფექტი	2,071	702	1,369	2024 წელს სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 1,608 ათასი ლარით, ხოლო უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგი 2023 წელთან შედარებით შემცირებულია 239 ათასი ლარით.
საოპერაციო და სახელფასო ხარჯები	(22,020)	(11,955)	(10,065)	2024 წელს ხელფასის ხარჯი წინა ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 4,537 ათასი ლარით, რაც განაპირობა ბანკის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდამ. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 214 ადამიანს (2023 წელს - 138 ადამიანი). საოპერაციო ხარჯები წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5,528 ათასი ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება შემდეგს: საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებების ხარჯების ზრდა 2,564 ათასი ლარით რაც ძირითადად დაკავშირებულია მობილურ აპლიკაციაზე და სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომის ხარჯებთან; მარკეტინგის ხარჯების ზრდა 1,908 ათასი ლარით; ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის ზრდა 248 ათასი ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია ახალი სერვის ცენტრების იჯარასთან და სხვა.
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	(1,207)	(592)	(615)	2024 წელს ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის ზრდა წინა წელთან შედარებით დაკავშირებულია სესხების პორტფელის ზრდასთან (იხილეთ

				მომხმარებლებზე გაცემული სესხების ცვლილება).
გაუფასურების აღდგენა დასაკუთრებულ ქონებებზე	105	558	(453)	2024 წელს შემცირება წარმოადგენს დასაკუთრებული ქონებების ღირებულების გადაფასების ეფექტს.
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	2,953	(149)	3,102	მოგების გადასახადიდან მიღებული სარგებლის ზრდა 3,102 ათასი ლარით (იხილეთ „გადავადებული საგადასახადო აქტივების“ ცვლილება).
წლის ზარალი	(11,416)	(7,293)	(4,123)	ცვლილება ძირითადად გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: „საოპერაციო და სახელფასო ხარჯების“ ზრდა 10,065 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი), „მოგების გადასახადის სარგებლის/(ხარჯის)“ ზრდა 3,102 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი), „წმინდა საპროცენტო შემოსავლის“ 2,387 ათასი ლარით ზრდა (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი), „უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების და გადაფასების წმინდა ეფექტი“-ს ზრდა 1,369 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი), „გაუფასურების ზარალის ფინანსურ აქტივებზე“ ზრდა 615 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი) და „გაუფასურების აღდგენა დასაკუთრებულ ქონებებზე“ შემცირება 453 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი).

ფინანსური კოეფიციენტები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023	შენიშვნა
სესხები/დეპოზიტები (L/D ratio)	84.6%	56.0%	კოეფიციენტის გაზრდა გამოწვეულია, სასესხო პორტფელის უფრო მნიშვნელოვანი ზრდით სადეპოზიტო პორტფელთან მიმართებით. ბიზნეს სესხების და საცალო სესხების პორტფელები გაიზარდა ჯამში 70,233 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი), ხოლო სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 49,678 ათასი ლარით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული კომენტარი).
წმინდა საპროცენტო შემოსავლები/საშუალო საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები (NIM)	4.2%	4.3%	კოეფიციენტის შემცირება ძირითადად უკავშირდება 2024 წელს საპროცენტო ხარჯების უფრო მკვეთრ ზრდას (121%-იანი ზრდა) საპროცენტო შემოსავალთან შედარებით (94%-იანი ზრდა).
სესხების რეზერვი/სესხები (Provision Rate)	1.9%	2.7%	კოეფიციენტების შემცირება ძირითადად გამოწვეულია სასესხო პორტფელის მკვეთრი ზრდით 2024 წლის მანძილზე და შესაბამისად პორტფელში Stage 1 სესხების მატებით. ამასთან 2024 წლის მანძილზე დაფარული იქნა წინა წლებში გადეფოლტებული Stage 3 ბიზნეს სესხი, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნულ სესხზე არსებული რეზერვის შემცირება და პორტფელის გაჯანსაღება.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები:

საქართველოს საბანკო სექტორისათვის განსაზღვრული კაპიტალის მოთხოვნები ეფუძნება ბაზელ III-ის სტანდარტსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციისა და 2013/36/EU დირექტივას (CRR-CRD package). ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: პირველადი და მეორადი კაპიტალი.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი - 4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+ AT 1) - 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+AT1 +Tier 2) - 8%.

პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR);
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI), რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი (CRA), რომლის დაწესება დაკავშირებულია ადგილობრივი აღრიცხვის სტანდარტებიდან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან. CRA ბუფერის მიზანია აქტივებისათვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა.
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (GRAPE) შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი. წმინდა GRAPE ბუფერის დაწესების მიზანია კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა GRAPE-ის ფარგლებში იდენტიფიცირებული იმ რისკებისათვის, რომლებსაც არ მოიცავს ან არასათანადოდ ასახავს ამ წესით განსაზღვრული პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები.

დამატებით, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (2.5%-ის ოდენობით, რომლის დაკმაყოფილებაც ბანკებს მოეთხოვებათ 2024 წლის 1 იანვრიდან), კონტრციკლური ბუფერისა (კომერციული ბანკები ვალდებული არიან 2024 წლის 15 მარტისთვის დააკმაყოფილონ აღნიშნული ბუფერის განაკვეთი 0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის – 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის – 0.75%-ის ოდენობით და 2027 წლის 15 მარტისთვის – 1%-ის ოდენობით) და სისტემურობის ბუფერისგან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს უნდა შეენარჩუნებინა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 25.64%, 20.49% და 16.60%-ის დონეზე, შესაბამისად (2023: 26.18%, 20.58% და 16.34%, შესაბამისად). ბანკი შესაბამისობაში იყო აღნიშნული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი'000	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
პირველადი კაპიტალი**	52,965	53,096
მეორადი კაპიტალი**	1,709	2,875
სულ საზედამხედველო კაპიტალი**	54,674	55,971
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები**	193,115	120,853
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი**	28.31%	46.31%
ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET I) ადეკვატურობის კოეფიციენტი / პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**	27.43%	43.93%

**კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები დათვლილია ფასს სტანდარტების საფუძველზე. აღნიშნული ოდენობები არ არის აუდიტირებული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ბანკი შესაბამისობაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან.

ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება განთავსებულია ბანკის ვებსაიტზე შემდეგ მისამართზე: [ფინანსური მაჩვენებლები](#).

1.4 რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და ბანკის ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. ბანკის რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას.

ბანკის დაგეგმილ ზრდასთან ერთად გაძლიერდა რისკების მართვის ფუნქცია. 2023 და 2024 წელს რისკების ორგანიზაციულ სტრუქტურაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელიც ეხებოდა ახალი განყოფილებების შექმნასა და განვითარებას, აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება. რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება მუდმივი და განახლებადი პროცესია, რომელიც მოიცავს არსებული რისკების მართვის სტრატეგიის სიღრმისეულ გადახედვას, რისკების მართვის საჭირო სისტემების დანერგვასა და რისკების მართვის ფუნქციების საჭირო კადრებით დაკომპლექტებას. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში რისკების მართვის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები ბანკს საშუალებას მისცემს უფრო მეტად იყოს ზრდაზე ორიენტირებული და ამასთან უზრუნველყოს რისკების დროული იდენტიფიცირება და ეფექტური მართვა.

რისკების მართვის ჩარჩო უზრუნველყოფს რისკების მართვის გამჭვირვალე პროცესის მიღწევასა და შედეგად ნდობის მოპოვებას დაინტერესებული მხარეებისგან. ამავდროულად ის იძლევა ბანკის სტრატეგიის განხორციელების საშუალებას და რისკების მართვას წარმოაჩენს, როგორც კონკურენტულ უპირატესობას ბანკისთვის.

სტრუქტურულად, ყოველდღიური რისკების მართვის ფუნქცია დამოუკიდებელია და ექვემდებარება რისკების მართვის დირექტორს, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია გენერალურ დირექტორთან. რისკის მართვის განყოფილებას ევალება რისკის მართვის სისტემის განსაზღვრა, დანერგვა და მართვა.

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე მთელი ბანკის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში.

რისკის პარამეტრების დადგენა და მართვა რისკის აპეტიტის ჩარჩოს ნაწილია, რომელიც მოიცავს ბანკისთვის რელევანტური და ასევე მატერიალური რისკების კომპონენტებს.

რისკის აპეტიტის განსაზღვრის პროცესი მიზნად ისახავს ბანკის რისკების მართვის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა რისკების დონე თანხვედრაში იყოს ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან. რისკის აპეტიტზე დაფუძნებული მიზნები ადგენს ბანკისთვის რისკის მისაღებ ზღვარს, ქმნის ღირებულების ზრდის შესაძლებლობებს დადგენილ ფარგლებში, უზრუნველყოფს რისკების სისტემურ კონტროლს და ხელს უწყობს მათ დროულ იდენტიფიცირებასა და შემცირებას. რისკის აპეტიტი მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაზე. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს

სხვადასხვა რეპორტებისა და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლებისა და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

საკრედიტო რისკი - ბანკისთვის ყველაზე მატერიალური რისკის ტიპია და წარმოიქმნება იმ ალბათობიდან, რომ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამის შედეგად ბანკმა შესაძლოა მიიღოს ზარალი. ბანკის საკრედიტო რისკის კონტროლს ახორციელებს საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი და გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა დონის საკრედიტო კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაშიც ყველა დონეზე შედიან რისკების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები, ხოლო უმაღლესი დონის საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობაში ასევე შედის ბანკის დირექტორატის რამდენიმე წევრი. შიდა პოლიტიკით და ეროვნული ბანკის რისკების პოლიტიკის შესაბამისად გარვეული საკრედიტო გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის მნიშვნელოვანია სესხის უზრუნველყოფა, სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებული ეროვნული ბანკის მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. მოძრავი ქონების შეფასება ხორციელდება ბანკის შიდა შემფასებლის მიერ, რომელიც ლიცენზირებულია შესაბამისი ინსტიტუტისგან და ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. 2024 წლის სექტემბრიდან, უძრავი ქონების შეფასება ხორციელდება ბანკის შიდა სერტიფიცირებული შემფასებლების მიერ, ხოლო რეგულაციური მოთხოვნების და ან სხვა გამონაკლის შემთხვევაში ბანკი იყენებს მაღალი რეპუტაციის და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გარე შემფასებელს.

ჯამური უზრუნველყოფა სასესხო პორტფელზე 2024 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 1,823 მილიონ ლარს რომლის სტრუქტურა შემდეგია - გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული ძირითადი აქტივები: მესამე პირის თავდებობა - 88.8%, უძრავი ქონება - 9.9%, მოძრავი ქონება - 1.0%, სხვა - 0.30%.

ბანკს ამჟამად აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული შიდა საკრედიტო მოდელი ერთი ტიპის საცალო საკრედიტო პროდუქტისთვის. კრედიტ-ინფო საქართველოს საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება სესხის დამტკიცების პროცესში ყველა ტიპის მსესხებლისა და საკრედიტო პროდუქტის განხილვის დროს. ბანკის შიდა მოდელით დათვლილი საკრედიტო რეიტინგი გამოიყენება ბიზნეს სესხებისთვის.

ბანკს ასევე შემოღებული აქვს რისკის აპეტიტით განსაზღვრული ლიმიტები დაკავშირებულ მხარეებზე, მსესხებელთა ჯგუფებზე, ეკონომიკურ სექტორებსა და პროდუქტებზე. აღნიშნული ლიმიტები დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ფინანსური აქტივები რომლებზეც ხდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დაანგარიშება:

- ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები;
- საკორესპონდენტო ბანკებში განთავსებული სახსრები;
- ფასიანი ქაღალდები;
- სასესხო პორტფელი;
- გაცემული ფინანსური გარანტიები;
- სხვა ფინანსური აქტივები.

ლიკვიდობის რისკი - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამოებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოიშვას ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი. ყოველდღიურ ლიკვიდობას მართავს ხაზინის სამსახური. ბანკი ასევე აწარმოებს ბაზელის მოკლევადიანი გადაფარვის (LCR) და გრძელვადიანი სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაცვას.

ლიკვიდური სახსრების განთავსება ხდება მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორცაა ნაღდი ფულის განთავსებები ეროვნულ ბანკში და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში; ასევე ჭარბი ლიკვიდობისთვის ბანკი აქტიურად იყენებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სახაზინო ვალდებულებების სახით.

საბაზრო რისკები - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მერყეობისაგან საბაზრო ფასებზე ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიკურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან. ბანკს არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი და არ არის ჩართული სპეკულაციურ საქმიანობაში, შესაბამისად მის წინაშე დგას ძირითადად საპროცენტო და სავალუტო რისკები, რაც გამოწვეულია ტრადიციული საბანკო საქმიანობით, რომლის მონიტორინგსა და მართვას ახორციელებს რისკების მართვის დეპარტამენტი სხვადასხვა რეპორტინგის ხელსაწყოებისა და მოდელების გამოყენებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - ბანკის წინაშე დგას ტრადიციული საბანკოს საქმიანობით გამოწვეული საპროცენტო რისკი, რაც დაკავშირებულია აქტივების და ვალდებულებების შესაძლო შეუთავსებლობით გადაფასების ვადიანობების მიხედვით. საპროცენტო რისკების ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინის სამსახური, აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად. საპროცენტო პოზიციები და „გეპები“ წარმოდგენილია გადაფასების პერიოდებით თითოეულ რელევანტურ ვალუტასთან დაკავშირებით და საპროცენტო განაკვეთის რისკი ფასდება ყოველთვიურად.

სავალუტო რისკი - ბანკი აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებით მიღებული დანაკარგის რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში ბანკის სტრატეგიაა რომ არ ჩაერთოს სპეკულაციურ საქმიანობაში ღია სავალუტო პოზიციის მეშვეობით. ყოველდღიურ სავალუტო რისკის პოზიციის მართვას ახორციელებს ხაზინის სამსახური აქტივებისა და პასივების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.

საოპერაციო რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი მიიღებს ფინანსურ ზარალს სისტემების ჩავარდნის/უმოქმედობისაგან, ადამიანური შეცდომებისაგან, თაღლითობისაგან ან სხვა გარე ზემოქმედებისაგან (მაგ. კიბერ შეტევების რისკი, ა.შ.). ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ბანკის რეპუტაციას, ნეგატიური გავლენა იქონიონ სახედამხედველო ან სამართლებრივი კუთხით, შეუძლიათ ფინანსური ზარალი მიაყენონ ბანკს. საოპერაციო რისკების კონტროლი ხორციელდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ ბანკის საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს მიხედვით.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანია განსაზღვროს ბანკისთვის რისკის პოზიციის მისაღები ფარგლები, გამოავლინოს რისკის გამოწვევი ფაქტორები და მიზეზები და უზრუნველყოს შესაბამისი კაპიტალის განაწილება, რაც ხელს შეუწყობს რისკის ეფექტურ მართვას. ბანკი აქტიურად მუშაობს თაღლითობის რისკის პრევენციაზე, შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულად ფუნქციონირებასა და საოპერაციო შეცდომების მინიმიზაციაზე. ამ მიზნების მისაღწევად დანერგილია თაღლითობის რისკის მართვის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს კორპორატიული კულტურის გაძლიერებას და ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც თაღლითობის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ბანკი ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების, პროცესებისა თუ სისტემების დანერგვამდე, ასევე ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელებამდე, ატარებს საოპერაციო რისკების შესაბამის შეფასებას. პარალელურად, ხორციელდება მოქმედი პროცესებისა და პროდუქტების რეგულარული გადახედვა, მათ შორის შიდა კონტროლის მექანიზმების ანალიზიც. აღნიშნული ხელს უწყობს თანმდევი რისკების შემცირებას და ეფუძნება ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს პროცესში ჩართული მხარეების პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებასა და ეფექტური, აღსრულებადი მმართველობითი ჩარჩოს ფორმირებას.

შესაბამისობის რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.

ამ რისკების მართვისათვის ბანკში შემუშავებულია პოლიტიკები და პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის.

1.5 აღმასრულებელი დონის კომიტეტები

ბანკში შექმნილი პოლიტიკების და პროცედურების განხორციელებისათვის, დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შემადგენლობა:

- გენერალური დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე;
- კომერციული მიმართულების ხელმძღვანელი და საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი-კომიტეტის წევრი;
- ფინანსური დირექტორის მოადგილე - კომიტეტის წევრი;
- რისკების დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- ხაზინის უფროსი - კომიტეტის წევრი.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ფუნქციები:

- ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის პროცესის განსაზღვრა;
- მიმდინარე და პერსპექტიული ლიკვიდურობის პოზიციების და დაფინანსების წყაროების განხილვა;
- რისკსა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის მიზნით ფინანსური რისკების კომპლექსური მართვა, ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია რისკების მართვის სფეროში;
- განფასებისა და ვადიანობის პარამეტრების დაგენა დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციებისათვის;
- ფინანსური რისკების მონიტორინგი (ლიკვიდობის, საპროცენტო და სავალუტო რისკი).

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტი ჩართულია ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო, კორპორატიული, პირადი საბანკო მომსახურების კლიენტების საკრედიტო ლიმიტების ზედამხედველობაში, მართვასა და დამტკიცებაში.

კომიტეტის საქმიანობის მიზანია ბანკის დაკრედიტების პროცესის ორგანიზაცია, წარმართვა და კონტროლი, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, კოლეგიალობის, უფლებამოსილებების დელეგირების პრინციპებს. კომიტეტი დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს რისკების მინიმიზაციის პრინციპითა და ბანკის მოგების მიღების მიზნით.

სესხის ტიპების მიხედვით ბანკში მოქმედებს 1 და 4 დონის საკრედიტო კომიტეტები, რომელსაც ცალკე განსაზღვრული აქვს მაქსიმალური ლიმიტები.

საკრედიტო კომიტეტზე საკითხის გამომტანი/ინიციატორი და განსახილველი საქმის წარმდგენი არის საკრედიტო ოფიცერი ან გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხმის უფლების გარეშე.

საკრედიტო კომიტეტის ჩატარებისთვის აუცილებელი პირობაა კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდეს მინიმუმ ორი ხმის უფლების მქონე კომიტეტის წევრი. კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და მოიცავს დებულებებს უფლებამოსილების, კომპეტენციების, კომიტეტის შემადგენლობის, სამუშაო პროცედურებსა და უფლება-მოვალეობების ჩარჩოების შესახებ.

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა:

კომიტეტის დონე	კომიტეტის წევრები
IV დონე	1. მოძრავი ქონების ექსპერტ-შემფასებელი 2. საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების თანამშრომელი
III დონე	1. რისკების დირექტორი 2. საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების თანამშრომელი 3. ბიზნეს სესხების განყოფილების უფროსი
II დონე	მეორე დონის საკრედიტო კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან, რომლებზეც დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით დელეგირებულია სხვადასხვა პროდუქტების განხილვა/დამტკიცება, მათი ლიმიტების გათვალისწინებით: 1. რისკების დირექტორი (ვეტოს უფლებით) 2. რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი 3. საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების თანამშრომელი ან მიკრო და საშუალო ბიზნესის საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების თანამშრომელი 4. საცალო სესხების განყოფილების უფროსი; ან ბიზნეს სესხების განყოფილების მიკრო სესხების ჯგუფის უფროსი 5. საკრედიტო ოფიცერი 6. ბიზნეს სესხების განყოფილების უფროსი 7. საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების SME რისკ მენეჯერი
I დონე	1. რისკების დირექტორი (ვეტოს უფლებით, კომიტეტის თავმჯდომარე) 2. იურიდიული დირექტორი 3. კომერციული მიმართულების ხელმძღვანელი

საკრედიტო კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილებები:

- უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს და ამტკიცებს კლიენტების დაფინანსების ლიმიტებს და პირობებს;
- განიხილავს და ამტკიცებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის ანგარიშებს;
- იღებს გადაწყვეტილებას საცალო, მიკრო და საშუალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების მიერ გაცემული სესხების პროლონგაცია/რესტრუქტურისაციის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებებს კრედიტების უზრუნველყოფის სტრუქტურიდან, გირაოს ნაწილობრივი ამოღების და/ან უზრუნველყოფის ჩანაცვლების (შეცვლის) შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას, მისი რეგლამენტის ფარგლებში გაცემული კრედიტებზე სასარჩელო წარმოების დაწყებაზე (სასამართლოში გადაცემა);
- იღებს გადაწყვეტილებას კლიენტისთვის ვადაგადაცემაზე სესხ(ებ)ზე ჯარიმის პატიების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო კომპანიის მიერ კლიენტისთვის ჩარიცხული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით (აღნიშნული თანხა მოხმარდეს უზრუნველყოფის საშუალების შეკეთებას, თუ დაიფაროს სესხის თანხა) თუ ეს თანხა აღემატება სესხის მიმდინარე ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტს;
- ამზადებს წინადადებებს ბანკში მიმდინარე საკრედიტო პროცესების ოპტიმიზაციის შესახებ.

მეთოდოლოგიური კომიტეტი

კომიტეტის მიზანია დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებული ხედვებიდან და გეგმებიდან გამომდინარე ნორმატიული ბაზის შექმნისა და განახლების მეშვეობით ბანკში მიმდინარე ბიზნეს-

პროცესების ორგანიზება, სტრუქტურირება, ოპტიმიზაცია.

მეთოდოლოგიური კომიტეტის შემადგენლობა:

- ოპერაციების მართვის დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი - კომიტეტის წევრი/თანათავმჯდომარე;
- ტრენინგ ცენტრის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- იურიდიული შესაბამისობის და საბანკო პროდუქტების სამართლებრივი მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მენეჯერი - კომიტეტის წევრი;
- საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- საოპერაციო რისკების მართვის განყოფილების სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- საკრედიტო ადმინისტრირების განყოფილების უფროსი - კომიტეტის წევრი;
- პროდუქტების მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- კორპორატიული მდივანი - კომიტეტის წევრი;

2. კორპორაციული მართვა

ბანკის კორპორაციული სტრუქტურა იერარქიულად შედგება აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოსაგან, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად. ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურის შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ყველა დონეზე და წარმომადგენლების (დირექტორების) წახალისება იმისათვის, რომ იმოქმედონ საკუთარი საქმიანობისა და აქციონერების მიზნების შესაბამისად. მართვის სტრუქტურა შემუშავებულ იქნა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა, რაც სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს მმართველობის ზედამხედველობის (გადაწყვეტილების კონტროლის) ფუნქციას, ხოლო დირექტორებს კი - ოპერაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას (გადაწყვეტილებების მენეჯმენტი).

აქციონერთა კრება

აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე.

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებებია:

- ბანკის წესდების ცვლილება;
- ბანკის საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების, იურიდიული მისამართის ცვლილება;
- ბანკის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- შერწყმის ან გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა ან/და გაუქმება საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით ახალი აქციების გამოშვების/ემისიის დროს;
- გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა/გამოწვევა;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და შრომითი ანაზღაურების გადახდის წესის განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების მიღება ბანკის აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცება;
- გადაწყვეტილების მიღება ბანკის ქონების გასხვისება/შემძენა/გაცვლის თაობაზე, თუ ამ აქტივების ღირებულება შეადგენს ბანკის აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა სამი აქციონერთა კრება, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- კაპიტალის გაზრდა, დამატებითი აქციების გამოშვება;
- ბანკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება;

- ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება;
- ბანკის მიერ მოზიდული სუბორდინირებული სესხების ვადაზე ადრე დაბრუნება და შესაბამისი ხელშეკრულებების ვადაზე ადრე გაუქმება;
- ბანკის გარე აუდიტორის არჩევა.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება ექვსი წევრისგან (არც ერთი მათგანი არ არის იმავდროულად ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი), რომელთაგან სამი (თავმჯდომარის ჩათვლით), დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 (ოთხი) წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე, რომელზეც აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის საქმიანობაში და სისტემატიურად ეცნობა ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 83 სხდომა. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: საბანკო გარანტიებისა და სესხების გაცემა; სუბორდინირებული სესხის მოზიდვა; ბანკის მიერ ქონებების რეალიზაცია; სხვადასხვა პოლიტიკების, დებულებებისა და ინსტრუქციების დამტკიცება; „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედისგან“ მიღებული სუბორდინირებული სესხების დაფარვა; ბანკის გაჯანსაღების გეგმის დამტკიცება; საკრედიტო პორტფელის ანალიზი; 2024 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ბიუჯეტის განხილვა და შედეგების შედარება; ობლიგაციების შეთავაზების საკითხების და ბროკერების მიერ შემოთავაზებული მიმდინარე გეგმის განხილვა; აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა; მობაილ ბანკის აპლიკაციის გაშვება; პილარ 3 წლიური ანგარიშგების დამტკიცება; AML-თან დაკავშირებული დოკუმენტაციის განახლება; ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ბანკის 2024 და 2025 წლების ფინანსური ანგარიშგებების შემოწმებისათვის გარე აუდიტორის არჩევა, სს „სილქ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის თვითშეფასების დამტკიცება, ქალაქ ბათუმსა და ქუთაისში სს „სილქ ბანკის“ ახალი სერვის ცენტრის გახსნა და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია მოვალეობებია:

- განსაზღვროს ბანკის ბიზნეს პოლიტიკა, მიიღოს და დამტკიცოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები;
- დაამტკიცოს ბანკის განვითარების სტრატეგიული და წლიური გეგმა, ბიუჯეტის ჩათვლით;
- მოამზადოს რეკომენდაციები აქციონერთა საერთო კრებისათვის, შეასრულოს აქციონერთა საერთო კრების მითითებები;
- აირჩიოს/გაათავისუფლოს დირექტორატის წევრები, მათ შორის გენერალური დირექტორის ჩათვლით;
- დაამტკიცოს საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკები და პროცედურები. ასევე, დაამტკიცოს ბანკის საკრედიტო კომიტეტის, დირექტორატის, კორპორაციული მდივნის და აუდიტის შესახებ შიდა დებულებები;
- დაამტკიცოს ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობა;
- კონტროლი გაუწიოს ბანკის დირექტორატის საქმიანობას;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის დაფინანსების შესახებ, იქნება ეს სესხის აღება, ობლიგაციების გამოიშვება თუ სხვა რაიმე ფორმა;
- მოითხოვოს აუდიტორისგან უშუალო ანგარიშგება;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ქონების გასხვისება/შემენა/გაცვლის თაობაზე, თუ ამ აქტივების ღირებულება შეადგენს ბანკის საერთო კაპიტალის 10%-ზე მეტს;
- მიიღოს გადაწყვეტილება შვილობილი საწარმოს შექმნა/ლიკვიდაციაზე;
- მიიღოს გადაწყვეტილება ახალი საბანკო საქმიანობის დაწყებაზე/შეწყვეტაზე;
- შეასრულოს აქციონერთა კრების მიერ დაკისრებული ამოცანები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა განისაზღვრება კორპორაციული მართვის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნება:

ბიზნესის ეფექტურად მართვისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვანი უნარჩვევები, ცოდნა და გამოცდილება. ბანკს მიაჩნია რომ სამეთვალყურეო საბჭოს არსებული ზომა და შემადგენლობა შესაბამისია ბანკის მოცულობასთან და ოპერაციების სირთულესთან. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და/ან ეკავა მაღალი პოზიციები ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით. ყოველივე აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს საშუალებას თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირად, მრავალფეროვან და მდიდარ გამოცდილებას. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების დამოუკიდებლობის ხარისხი სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სათანადო მოთხოვნებს.

ბანკის დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და მართვაზე, მის წევრებს (დირექტორებს) ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით, მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

ბანკის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ დირექტორთა საბჭოს წევრებს.

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დირექტორთა ნახევარზე მეტი. დირექტორთა საბჭო შედგება მინიმუმ სამი (3) წევრისგან, გენერალური დირექტორის ჩათვლით და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. თითოეულ წევრს გააჩნია ხმის ერთი უფლება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.

დირექტორთა საბჭოს უფლება-მოვალეობებია:

- ზედამხედველობა გაუწიოს დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ნაღდი ფულით მომსახურების, ბანკის ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულობის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, შიდა კონტროლსა და აღრიცხვას;
- უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სხვა ძირითად საქმიანობას;
- გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ და/ან აქციონერთა საერთო კრებამ დაავალოს დირექტორთა საბჭოს (ან დირექტორთა საბჭოს რომელიმე ერთ წევრს);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის, კანონქვემდებარე ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება და ასეთ პოლიტიკასთან, კანონქვემდებარე ნორმატიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მომავალი წლის ბიზნეს გეგმის მომზადება და წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად;
- კადრების დანიშვნა, გათავისუფლება, ტრენინგისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების მოწვევა;
- ბანკის შინაგანაწესის დამტკიცება;
- ბანკის სტრუქტურული ერთეულების შესახებ დებულებების და თანმდევი ინსტრუქციების დამტკიცება;
- შეიმუშავოს ბანკის პოლიტიკა, შიდაგანაწესი და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკის, შიდაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტის შესრულება.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. აუდიტის კომიტეტი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია. ეს რგოლი ზედამხედველობას ახორციელებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობაზე, სათანადო რეკომენდაციებს შეიმუშავებს ამ სამსახურისათვის და აქციონერთა ინტერესებს იცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საიმედოობის თვალსაზრისით. აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

2024 წლის განმავლობაში ჩატარდა 7 აუდიტის კომიტეტი. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: გარე აუდიტორებთან 2023 წლის მიმდინარე აუდიტის სტატუსების და წინასწარი შედეგების განხილვა; სს სილქ ბანკის 2023 წლის IFRS ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება; ბანკის ფინანსური მონიტორინგის საქმიანობის აუდიტი; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად, სს „სილქ ბანკის“ 2024 და 2025 წლების ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისთვის გარე აუდიტორის არჩევის განხილვა; ბანკის სესხების განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებით შიდა აუდიტის ანგარიშის განხილვა; ინტერესთა კონფლიქტი და ნაღდი ფულის დათვლის შედეგები; ოპერაციული რისკების მართვის პროცესების აუდიტის ანგარიში; 2025 წლის ყოველწლიური აუდიტის გეგმა.

აუდიტის კომიტეტი შედგება ხუთი წევრისგან, მათ შორის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის დებულების მიხედვით აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაა:

- შიდა აუდიტის და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- ბანკის წინასწარი ანგარიშგების მთლიანობის და უტყუარობის შემოწმება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი მოთხოვნების ბანკის მიერ დაცვის კონტროლი;
- ბანკში შიდა კონტროლისა და ფინანსური რისკები მართვის შესაბამისი სისტემების არსებობის და სწორი ფუნქციონირების კონტროლი;
- ბანკის ფინანსური ანგარიშგების, ყოველწლიური დამოუკიდებელი გარე აუდიტის ჩატარების კონტროლი;
- გარე აუდიტორის კვალიფიკაციის და დამოუკიდებლობის დონის ხარისხის კონტროლი;
- შიდა აუდიტის და დამოუკიდებელი აუდიტორის მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფა და თანმხლები პროცესების კონტროლი.

აუდიტის კომიტეტის მოვალეობა შემოიფარგლება კონტროლით და სამეთვალყურეო საბჭოსთვის შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავებით.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატისათვის დამოუკიდებელი რწმუნების წარდგენას ბანკის შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის პროცესებისა და სისტემების ეფექტურობაზე.

რისკების კომიტეტი

თავისი საქმიანობით კომიტეტი სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი არის მუდმივი კოლეგიალური ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რისკების მართვის სისტემების განვითარების წინადადებების შემუშავებას; რისკების მართვის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებას; რისკების მართვის ინდივიდუალური საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების და პროექტების კოორდინაციას და სხვა საკითხების რეგულირებას, რაც განსაზღვრულია მოქმედი რეგულაციებით.

რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, რისკების კომიტეტი კვარტალურად განიხილავს ბანკის საქმიანობის შედეგებს. 2024 წელს კომიტეტმა გამართა სამი სხდომა, ხოლო მეოთხე კვარტლის შედეგების განხილვა 2025 წლის იანვარში განხორციელდა. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა შემდეგს: რისკების მიმოხილვას მათი კატეგორიებისა და ტიპების მიხედვით (ფინანსური და საოპერაციო რისკები); 2024 წლის განმავლობაში რისკების მიმართულების ქვეშ არსებული

მიმდინარე, დაგეგმილი და შესრულებული პროექტების განხილვას; ბანკის შიდა კაპიტალის ადექვატურობის შეფასების პროცესსა (ICAAP) და შედეგების მიმოხილვას 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით და სხვა.

რისკების კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, მათ შორის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი წევრი. რისკების კომიტეტის დებულების მიხედვით რისკების კომიტეტი კომპეტენციის ფარგლებში:

- განიხილავს რისკის სტრატეგიებს, როგორც აგრეგირებულს, ისე ინდივიდუალური რისკის ქრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალი რისკის აპეტიტზე;
- ამზადებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას, ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს;
- მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;
- რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებითვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.
- მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა, საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იყოს რისკის აპეტიტთან;
- უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიული მიზნების კოორდინაციას საოპერაციო მაჩვენებლებთან და მასთან დაკავშირებულ რისკებთან;
- უზრუნველყოფს ბანკის რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას;
- უზრუნველყოფს კონკრეტული სიტუაციების მიმართ რისკებისადმი რეაგირების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკის სხვა კომიტეტების ანდა ბანკის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნის საფუძველზე;
- ახორციელებს საბანკო და ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა სახის რისკების შეფასებას და საბანკო რისკების მინიმიზაციის პროცესების გამართულად ფუნქციონირების ზედამხედველობას/მონიტორინგს და რეკომენდაციების გაცემას;
- მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაცვის კუთხით ახორციელებს კაპიტალის მოცულობის მონიტორინგს და აქციონერთა მზაობის შეფასებას საჭიროებისას ბანკის კაპიტალის ზრდის კუთხით;
- აწამორებს რისკების მართვის ღონისძიებების გატარების მონიტორინგს;
- აწამორებს გარე ფაქტორების ცვლილებების მონიტორინგს და რისკების მართვის სისტემის ადაპტაციას;
- ანალიზს უკეთებს ბანკის ხარჯების გაზრდის საკითხს ერთჯერადი პროექტებისთვის, რომელიც სცილდება წესდებით და კოლეგიალური ორგანოების მიერ განსხაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს და იძლევა რეკომენდაციებს;
- რეკომენდაციას კუთხით განსაზღვრავს ზარალის რეზერვების ოდენობის საკითხს, რომელიც სცილდება დადგენილ ნორმებს
- შემდგომი კალენდარული წლისთვის რისკების აპეტიტის ინდიკატორების და მათი ღირებულებების სტრუქტურის შესახებ ამზადებს წინადადებას;
- სტრატეგიული გეგმის პროექტზე, ბანკის მიერ დეკლარირებულ საინვესტიციო გეგმაზე ამზადებს დასკვნებს რისკის მატების მოთხოვნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში რისკის მატების ინდიკატორების სტრუქტურის შეცვლაზე ამზადებს წინადადებას.

3. არაფინანსური ინფორმაცია

3.1. დასაქმების საკითხები

თანამშრომლები - სილქ ბანკი იცავს გენდერულ თანასწორობას და თანაბარ შანსს აძლევს ორივე სქესის წარმომადგენლებს. ბანკში დასაქმებულია სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლობისა თუ ასაკის

ადამიანი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ბანკი თავის თანამშრომლებს ხელფასზე დანამატის სახით სთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევას და საპენსიო დანამატს.

ანაზღაურების პოლიტიკა - ანაზღაურების სისტემა მოიცავს საქმიანობის შესაბამისად ანაზღაურების გარკვეულ ფორმებს, მათ შორის: ფიქსირებული ანაზღაურება და დამატებითი სარგებელი (მათ შორის და არა მხოლოდ: მოქმედი კანონმდებლობით/შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დანამატები, საპენსიო შენატანი, მივლინების, პროფესიული განვითარების, ჯანმრთელობის დაზღვევის, მატერიალური წახალისების სხვა ფორმები და სხვა სახის სარგებელი).

ანაზღაურების ფიქსირებული ნაწილია თანამდებობრივი სარგო/ხელფასი.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დახარჯულ დროს რესურსს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა და ბანკის თანამშრომელთა ფიქსირებული ანაზღაურება ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ამტკიცებს და აკონტროლებს ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას. ასევე განიხილავს და ამტკიცებს ბანკის საშტატო განრიგს და იღებს გადაწყვეტილებას ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურებაზე.

ბანკის დირექტორთა საბჭოს ანაზღაურების სისტემა, შედგება ფიქსირებული ანაზღაურებისგან, რომელიც შეესაბამება მათ პროფესიულ გამოცდილებას და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, დაკისრებულ ვალდებულებებსა და სამუშაოს სპეციფიკურობას.

ბანკის დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას და განსაზღვრავს ბანკის თანამშრომლების (დირექტორების გარდა) წახალისების მოდელებს. დირექტორატი ამტკიცებს ბანკის სახელფასო სქემას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, ასევე განიხილავს და ამტკიცებს წინადადებებს ანაზღაურების სისტემისა და მოტივაციის სხვა მოდელების სრულყოფის შესახებ, განიხილავს შრომის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურების (როგორც შიდა, ისე გარე) შეფასებას და ანგარიშებს და სხვა.

3.2. ადამიანთა უფლებების დაცვა

ბანკი აღიარებს და ყოველმხრივ ემხრობა საქართველოს კონსტიტუციითა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს. ბანკი პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. მათი დაცვა ბანკისთვის უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს.

ბანკში დანერგილია წესები და პროცედურები, სადაც გათვალისწინებულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი“, „კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „საქართველოს შრომის კოდექსი“.

მომხმარებლები - ბანკი ზრუნავს არა მხოლოდ თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით ბანკში შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

4. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები

სს „სილქ ბანკის“ ზომისა და ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე 2024 წლის განმავლობაში ბანკს არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი ცვლილებები გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან მიმართებაში. 2024 წლის ESG საკითხების ანგარიშგება გამოქვეყნდება ბანკის ვებ გვერდზე [ფინანსური მაჩვენებლები](#)

5. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი

15 მაისი 2025

ნინო ცანავა
ფინანსური დირექტორის მოადგილე

15 მაისი 2025

5. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.


ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი
15 მაისი 2025




ნინო ცანავა
ფინანსური დირექტორის მოადგილე
15 მაისი 2025




პასუხისმგებელი პირების განცხადება

მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ბანკის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს;
- მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ბანკის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.


ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი




ირაკლი მანაგაძე
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე